



2

ლალი ჯალაძე

თუ შენს სფეროში მუდმივად არ ვითარდები, შენი ცოდნა ვალიდური აღარ არის



სტუმარია ნანა ლიხაიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროფესორი



6

კეთილსინდისიერება განათლების სისტემაში გამოიკვეთა თუ არა ხარვეზები სკოლის მასწავლებლების დაქირავების პროცესში

⇒ **ინტერვიუ გიორგი მაჩაბელთან**



4

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის ზოგად უნარებში

⇒ **თეონა ლოდია**

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის წარმომადგენელი

7

მასწავლებელთა კითხვები

„ახალმა განათლებამ“ შექრიბა „ახალი სკოლის მოღვაწენ“ დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები, რომელსაც პასუხს სცემს ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით

⇒ **როლანდ ხოჯანაშვილი**



თუ შენს სფეროში მუდმივად არ ვითარდები, შენი სოციალური კაპიტალი აღარ არის



რეპორტი სტუმარი ნანა ლიშანიძე

ქალბატონო ნანა, წარადგინეთ თავი მკითხველისთვის – ვინ არის ჩემი რესპონდენტი და რა გზა გაიარა ილიაუნამდე?

– ვარ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ინოვაციებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის მიმართულებით, იმავე დროს, ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის პროფესორი, ტექნოლოგიების სკოლაში ხელმძღვანელობ ქართული და ინგლისურენოვანი კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამებს. გარდა ამისა, ვმუშაობ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტად, ასევე, მაქვს კვლევითი გრანტები და ე.წ. პოპულარიზაციის პროექტები, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლეები დაინტერესდნენ ტექნოლოგიებით.

ხუთი წელი ამერიკაში, მისურის შტატში ვიცხოვრე, აქედან ოთხი წელი მისურის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, ელექტრომაგნიტური თავსებადობის ლაბორატორიაში ვიმუშავე, მონვეული ასისტენტ-მეცნიერ-პროფესორის პოზიციაზე. ლექციებსაც ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი ძირითადი მიმართულება მაინც კვლევა იყო. იქაც ვმუშაობდი მოსწავლეებთან, ჯერ მოხალისეობრივ საფუძველზე იმიტომ, რომ ჩემი შვილი იყო დაინტერესებული რობოტიკით და სკოლას არ ჰქონდა რობოტიკის წრე. შემდეგ ბევრი თანამოაზრე ვიპოვე და ამ წრეს ბევრი სხვადასხვა კლუბი დაემატა. მაგალითად, ალ-დუინოს კლუბი (არის ასეთი მიკროკონტროლერი) ჩამოვყალიბეთ იმავე ლაბორატორიაში, სამეცნიერო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად ვებმარებოდით მოსწავლეებს, გოგონებისთვის კი, რობოტიკის საკვირაო სკოლა გავაწყეთ. აი, ამ ტიპის საქმიანობაში ვიყავი ჩართული ამერიკაში.

– რატომ დაბრუნდით საქართველოში, რას უკავშირდება ეს გადაწყვეტილება?

– გადაწყვეტილება ძალიან მოულოდნელად მივიღე – მისურიდან გადავდიოდით, რადგან მეუღლეს ჰქონდა შემოთავაზება ეფლში, კალიფორნიიდან, და თავისთავად, მთელი ოჯახი კალიფორნიაში უნდა გადავბარგებულიყავით. მეც იქვე ვაპირებდი მუშაობას რომელიმე კომპანიაში (ბევრ კომპანიასთან მითანამშრომლობა კვლევებში და მონვევებში მქონდა მათგან). სწორედ ამ დროს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა შემომთავაზა თანამშრომლობა, რადგან სან დიეგოს უნივერსიტეტთან ერთად, ახალ პროგრამებს ავითარებდა. ვიფიქრე, კარგი იქნებოდა, ორი წლით მაინც, სამშობლოში თუ დავბრუნდებოდი და საინტერესო პროექტებზე ვიმუშავებდი. თან ბავშვებსაც ძალიან ენატრებოდათ ბებია-ბაბუა, რომლებსაც იშვიათად ხედავდნენ, პატარას უკვე ქართულიც ავიწყდებოდა. ასე ჩამოვედი საქართველოში და, უკვე მეოთხე წელია, აქ ვარ.

– ტექნოლოგიების მიმართულებით კითხულობთ ლექციებს სტუდენტებთან, ამავე დროს, ძალიან აქტიურად მუშაობთ მოსწავლეებთანაც, მოგიყვებით ამ პროექტების შესახებ.

– მოსწავლეებისთვის სამ დიდ პროექტს ვახორციელებთ:

– ერთი პროექტი საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება – სტემ ბანაკები მოსწავლეებისთვის და ტექნოლოგიური ბანაკები სტუდენტებისთვის. უკვე 100 მოსწავლისთვის მოვანწყვეთ ბანაკი და კიდევ 150-ისთვის გვგეგმავთ, ასევე, ტექნოლოგიურ ბანაკებს 150 სტუდენტისთვის. ახლა, კვიდის გამო, დროებით შეჩერებული გვაქვს;

– მეორე დიდ პროექტს – საინჟინრო სკოლა უფროსკლასელი გოგონებისთვის – ამერიკის საელჩოს დაფინანსებით ვახორციელებთ. თითო ნაკადში 25 გოგონაა, ახლა მესამე ნაკადი მიმდინარეობს, მეოთხე ნაკადიც გამოვაცხადეთ და ისიც დაიწყო. საერთო ჯამში, თბილისის სკოლებიდან, 100 უფროსკლასელი გოგონაა ჩართული და 50 – რეგიონის სკოლებიდან. ამჟამად, მეცადინეობები, ძირითადად, ონლაინ მიმდინარეობს. პროექტის გარკვეული ნაწილისთვის კი, დრონებზე სამუშაოდ, თბილისის მოსწავლეები უნივერსიტეტში მოდიან, რასაკვირველია, დისტანციის დაცვით. საინჟინრო სკოლის ფარგლებში, გოგონები ელექტრონიკასა და დამპროგრამებას სწავლობენ. თითოეული თბილისელი მოსწავლე გოგონა ერთ ოტობოტს იღებს (თბილისის ფარგლებში შეგიძლია დაეაგზავნოთ), რეგიონის გოგონებისთვის კი პროცესი სრულად ვირტუალური იქნება და ონლაინ შეასრულ-

ლებენ დავალებებს. დრონებზე მუშაობა ყველასთვის პირისპირ იგეგმებოდა, მაგრამ პანდემიამ შეგვაცვლივინა გეგმები;

– და მესამე, ყველაზე დიდი პროექტი, რომელიც ახლახან დაიწყო, ევროკავშირმა დააფინანსა. პროექტის ფარგლებში, რეგიონის 90 სკოლაში და 10 პროფესიულ ცენტრში, პროგრამირებისა და ტექნოლოგიური კლუბები უნდა შევქმნათ, ჯამში, 100 სასწავლო დაწესებულებას დავფარავთ.

– რეალურად, თქვენი დაბრუნება სამშობლოში საგანმანათლებლო სფეროში ტექნოლოგიების მიმართულების განვითარებას უკავშირდება. რა შედეგს ელოდებით და, ზოგადად, რა მნიშვნელობა აქვს ასეთი ტიპის პროექტებს ქვეყნისთვის?

– მსგავსი პროექტების განხორციელება ძალიან მნიშვნელოვანია და რაც უფრო მეტი ადამიანი და ორგანიზაცია გააკეთებს ამას, მით უკეთესი იქნება. ზოგადად, ილიას უნივერსიტეტი მეცნიერების პოპულარიზაციაზე ყოველთვის ზრუნავდა. ეს უნივერსიტეტი იყო პირველი, ვინც, დაახლოებით, 8 წლის წინ, სამეცნიერო პიკნიკი დაიწყო. წარმოდგინეთ, იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ პიკნიკებზე 20 ათას ადამიანი მოდის ხოლმე. სწორედ აქ გაიმართა მოსწავლეთა პირველი შეჯიბრება რობოტიკაში და მსგავსი ღონისძიებები, პირველი ფაზლაბიც აქ გაკეთდა. ამიტომ, ილიას უნივერსიტეტში მაქვს შესაძლებლობა, ამ მიმართულებით ვიმუშაო და ის რესურსი, რაც უნივერსიტეტს აქვს, კარგად გამოვიყენო, ამას ჩემი უცხოური გამოცდილებაც შევუერთო და შევთავაზო მოსწავლეებსა და სტუდენტებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული დიდი პროექტების გარდა, სხვა პროექტებსაც ვახორციელებთ. მაგალითად, პანდემიის პერიოდში, როცა სრულად მოკვინა ონლაინ სწავლებაზე გადასვლა, დაახლოებით, 500 მოსწავლესთან ვიმუშავეთ – პრაქტიკული დიზაინი ვასწავლეთ; გვაქვს, ასევე, „პითონის“ კურსი, ამ დღეებში, ახალ ნაკადთან დაიწყო მუშაობა; მოსწავლეებს ელექტრონიკას, თამაშების განვითარებას ვასწავლით, შარშან „ჰაკათონი 4“ ჩავატარეთ და ა.შ. ძალიან საინტერესო შესვლევებს ვანერგებ წარმატებულ ქართველ ინჟინრებთან, რომლებიც სილიკონის ველზე ან ევროპის სხვადასხვა ნაშევან ლაბორატორიაში მუშაობენ. ამ მიმართულებით რაც უფრო მეტი ადამიანი რესურსი გეყოლება, მით უფრო ძლიერ იქნება ქვეყანა. ამას გვიჩვენებს, თუნდაც, ესტონეთის მაგალითი, რომელიც აიტი ლიდერია მსოფლიოში და ჩვენზე გაცილებით უკეთ ცხოვრობს. რაც მთავარია, ესტონეთმა ამ შედეგებს იმიტომ მიაღწია, რომ აიტი განვითარების სტარტეგია თავიდანვე სწორად დაგეგმა.

– თან საკმაოდ მოკლე დროში

– მოკლე დროში იმიტომ მოახერხა, რომ დრო არ დაკარგეს – როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაშინვე სწორი სტრატეგია შეიმუშავეთ, ბევრი სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციის ჩართულობით და უცვლელად მიყვებიან ამ სტრატეგიას. ცხადია, განახლება ყოველწლიურად ხდება, რადგან ეს სფერო ძალიან სწრაფად იცვლება, მაგრამ უცვლელია მთავარი სტრატეგია და მიზანდასახულობა. აი, ამის შედეგია ის პოზიცია, რაც დღეს ესტონეთს უჭირავს აიტი სფეროში. ჩვენც ამ გზას უნდა დავადგეთ, სხვა გამოსავალი არ გვაქვს, არც განსაკუთრებული სიმდიდრე გვაქვს ქვეყნის განვითარებისთვის. ტურიზმი, ცხადია, მომგებიანი სფეროა, მაგრამ მცირე რაოდენობით. სოფლის მეურნეობას რაც შეეხება, ეს სფეროც მხოლოდ მაშინაა მომგებიანი, როცა ტექნოლოგიურადაა გაპართული. სამწუხაროდ, ჩვენ ეს პროცესი ჯერ არც კი დაგვიწყია. ამიტომ, მთელი ჩვენი რესურსი აქეთ უნდა მივმართოთ – მხოლოდ ეს არის ჩვენი გადარჩენის გზა.

– რადგან უშუალოდ ხართ ჩართული უმაღლესი განათლების სისტემაში, ნაწილობრივ, სასკოლო განათლებაშიც, კარგად იცნობთ ჩვენი განათლების სისტემას. რა არის თქვენი თვალით დანახული ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები გამოწვევა?

– მოდი, ჯერ ერთიან სურათს შევხედოთ. მთავარი პრობლემა, რაც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემას აქვს, ის არის, რომ ჯერ კიდევ არ გვაქვს განათლების სრულფასოვანი სტრატეგია, რომელიც უცვლელი იქნებოდა, მინისტრებისა თუ ხელისუფლების ცვლილების პირობებშიც. განათლებას ორ-სამ წელიწადზე გათვლით ვერ დაგეგმავ, უფრო გრძელვადიან პერიოდს მოითხოვს – შედეგს 10-15 წლის შემდეგ დაინახავ. ეს ფინეთის მაგალითაც გვიჩვენა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სტრატეგია არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკური ძალებისა თუ მინისტრების ცვლილებაზე ისე, როგორც დღეს გვაქვს – როცა ახალი მინისტრი მოდის (თუნდაც იმავე პოლიტიკური გუნდიდან), როგორც წესი, წინა მინისტრის მიერ წამოწყებულ პროექტებს თაორზე შემოანყობს ხოლმე და თვითონ იწყებს ახალს. ეს არასწორი მიდგომაა, მეტიც, ფულის არასწორი ხარჯვაა.

შეუძლებელია რომელიმე ერთ რგოლში განახორციელო რეფორმა. განათლება სკოლამდელი აღზრდიდან იწყება, შემდეგ სასკოლო განათლებით გრძელდება, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სკოლაში კარგი განათლებამიღებული მოსწავლე, დღევანდელ პირობებში, ისეთი რესურსია, რომ დამოუკიდებლადც მიიღებს პროფესიულ განათლებას. შემდეგ მოდის პროფესიული განათლება და უნივერსიტეტი – ვის სად მოუწდება სწავლის გაგრძელება, მაგრამ ბირთვი მაინც სკოლაა. ეს პროცესი აუცილებლად ერთიან სურათად უნდა დაეინახოს, სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული და უწყვეტად განათლებით დასრულებული. თუ შენს სფეროში მუდმივად არ ვითარდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩამორჩი და შენი ცოდნა ვალიდური აღარ არის. შესაბამისად, აუცილებლად გვჭირდება მუდ-

მივი პროფესიული განათლება/განვითარების ცენტრებიც.

ავილოთ საბავშვო ბაღი, რომელსაც, სავარაუდოდ, ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, პირველ რიგში, ბავშვს რეალურად სკოლისთვის ვერ ამზადებს. არც სკოლამდელი აღზრდის სისტემის ერთიანი სურათი გვაქვს. ყველა თავის ჭკუაზე მოქმედებს – ხან ზემოებს აწყობენ, ხან ლექსებს ასწავლიან... ბაღები „ბიზნეს აკადემიად“ აქვთ ქცეული, ნაცვლად იმისა, რომ ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად მოამზადონ სკოლისთვის. არც მოსამზადებელი კლასები ფუნქციონირებს, მაგალითად, როგორც ამერიკაში ხდება. იქ მათი ფუნქცია უმნიშვნელოვანესია და ოფიციალურადაც სკოლა ჰქვია – ქინდერგარდენი, 5-წლიანებისთვის კი მოსამზადებელი კლასი ფუნქციონირებს – რასაც ბავშვი უფრო დაბალ ჯგუფებში ვერ დაფარავს, მოსამზადებელ კლასში უნდა შეძლოს მისი გავლა. ძალიან კარგი მიდგომაა – როდესაც ბავშვი მოსამზადებელ კლასში მოდის, აუცილებლად ტესტავენ იმიტომ, რომ ნახევარი წლით ადრე მაინც უთხარან მშობლებს, რა უნარების განვითარება სჭირდება მის შვილს, რომ სკოლაში თავი სრულფასოვნად იგრძნოს. ასევე ინფორმირებულია სკოლაც, რადგან უკვე იცის რა საჭიროებები მოდის მოსწავლეთა 95%, შეიძლება 5% მერე დაემატოს, მაგრამ ძირითადი ცნობილია.

ასევე, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ არ გვაქვს გამართული სივრცითი მონყობის ინფრასტრუქტურა, არც „სკოლის რაიონის“ ცნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია განათლების განვითარებისთვის. თუ შენ არ იცი ვინ მოვა სკოლაში და როგორ იმუშაო ამ რაიონთან, მაშინ ვერც თემი ვითარდება და არც მშობლის ჩართულობა აქტიური. ისევე ამერიკის მაგალითზე გეტყვით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, როცა სკოლამ იცის რა კონტინგენტს იღებს და წინასწარ ადგენს საჭიროებების გეგმას, მკაფიოდ აქვს განსაზღვრული განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ჩვენ შემთხვევაში, სოფლებს თუ არ ჩავთვლით, თბილისში ეს მიდგომა გამორიცხულია. პირველკლასელს ხუთი ნათესავი ერთად არეგისტრირებს ხოლმე, როგორმე სასურველ სკოლაში რომ მოხვდეს. ძალიან მახინჯი სისტემა იქმნება. ისიც ხომ წარმოუდგენელია, როცა ბავშვი, სკოლაში მისასვლელად, დღეში, საათ-ნახევარს ხარჯავს. ჩემი შვილი ერთ-ერთ კერძო სკოლაში, ქალაქგარეთ, დადიოდა და ისეთი დაღლილი ბრუნდებოდა სახლში, რომ სკოლის გარეთ ცხოვრება, ფაქტობრივად, აღარ ჰქონდა. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი „სკოლის რაიონის“ ცნება.

ახლა თავად სკოლას შევხებით და იქ არსებულ პრობლემებს. დაიწყებ იმით, რომ ჯერ ყველა საგნის სტანდარტი არ გვაქვს და ყოველ წელს იცვლება სახელმძღვანელოები, ვერც იმაზე ჩამოვყალიბდით, როგორი სახელმძღვანელოა კარგი. გრიფორების პროცესი იმდენად არასწორადაა დაგეგმილი, რომ შედეგად ვერასდროს ვერ ვიღებთ კარგ, გამართულ სახელმძღვანელოებს.

მასწავლებლების კვალიფიკაცია საკმაოდ დაბალია და ეს, რა თქმა უნდა, არ არის იმის ბრალი, რომ ქვეყანაში რესურსი არ გვაქვს. პირველ რიგში, იმის ბრალია (რასაც მუდმივად ყველა მინისტრი არიდებს ხოლმე თავს), რომ თუ პროფესია კარგად ანაზღაურებადი არ გახდა, იქ არ წავა ის რესურსი, რომელიც უნდა მიიღოდა. რეალურად ეს არის ხოლმე პრობლემა და არა მთითი გაშვება, რომ დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლები გვყავს. ძალიან მაგარ მასწავლებლებსაც ვიცნობ და არ ვლაპარაკობ 100%-ზე, თუმცა, ფაქტია, რომ 70%-ს, სათანადო კვალიფიკაციის ან საგნის სწავლების მეთოდოლოგიის კუთხით, პრობლემა მაინც აქვს. ეს ძალიან დიდი რიცხვია. მაგრამ, ისიც ცხადია, თუ ადამიანს არასწორი პირობები შეუქმნი, კარგ შედეგს ვეღარ მიიღებ. აინშტაინს ჰქონდა ასეთი გამოონათქვამი, საუკეთესოდ მოცურავე თევზს რომ ხეზე ასვლა მოსთხოვო, ვერ ავა. თუ შედეგად არასწორ პირობებს უქმნი, ცხადია, არასწორ შედეგებზე გავხალ. აი, ეს უნდა დაიგეგმოს თავიდანვე სწორად და არა გამოცდებით, დამატებითი მოთხოვნები... მასწავლებელი გამომდებული კონტროლის ქვეშ კი არ უნდა გყავდეს, ისე უნდა დაგეგმო მისი პროფესიული განვითარება, რომ 5-10 წელიწადში მართლა კვალიფიკაციური მასწავლებლები მიიღო. რაც არ უნდა გაცხრილო მათი რიგები, ეს არის შენი მასა და ამ მასას ან უსწორი ამ ხელფასზე მუშაობა (იმიტომ, რომ სხვა სამსახურის შესაძლებლობა არ აქვს), ან არა. შეიძლება, 10-15% ეთუზიანს-ტია და მართლა უყვარს ეს პროფესია, უნდა განვითარება, მაგრამ სადამდეგ ეყოფა ეს ენთუზიანზი? ენთუზიანზი მაშინვე დაგიმთავრდება, როცა შენს შვილს მომივდება.

მესამე დიდი პრობლემა – ფაქტობრივად, ეს სკოლა დიდად არ განსხვავდება იმ სკოლისგან, რომელიც მე დაევაშთავრე (მერვე კლასი საბჭოთა კავშირში დავასრულე). თითქოს რაღაც შეეცვალეთ, ახალი სახელმძღვანელოები შემოვიდეთ, ახალი მიდგომები შევიმუშავეთ, მაგრამ მიდგომის არსი მაინც არ შეცვლილა. მაგალითად, ვიცით, რომ დღესტექნოლოგია ძალიან მნიშვნელოვანია და ყველა იმაზე წუწუნებს, რომ ბავშვები სტემის მიმართულებით არ მიდიან. თითქოს, იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ეს ძალიან გჭირდება. ამის მიუხედავად, როგორი სიტუაცია გვაქვს – რამდენი წელია, რაც ისტს ვასწავლით ოფიციალურად საჯარო სკოლებში – I, V და VI კლასებში და მორჩა. მაშინ, როგორ წავიდეს ბავშვი პროგრამირებაზე ან ინჟინერიაზე? თან, მთავარია, რას ასწავლიან V-VI კლასებში? საოფისე პროგრამების გამოყენებას. ზოგადად, უცხოეთში ისტის სწავლებას ცალკე გაკვეთილი არ ეთმობა – პირველი კლასიდანვე ბავშვისთვის ტექნოლოგიების შესწავლა ძალიან მარტივია, ერთხელ და ორჯერ რომ აჩვენებ ვორდს ან დაანარჩენ პროგრამებს, შემდეგ, რაც დასჭირდება, თვითონ მიხვდება და დააჭერს ხელს ლილაკებს. ბავშვებისთვის ეს ძალიან იოლია. ტექნოლოგია მათთვის ბუნებრივი გარემოა, ამიტომ, აუცილებლად უნდა ვასწავლოთ



გამოთვლითი აზროვნება, კომპიუტერული აზროვნება და არა საოფისე პროგრამების გამოყენება.

– ანუ არასწორად გასწავლით?

– დიას, არასწორად გასწავლით. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, ჯერ ერთი, გაცილებით დიდი როლი აქვს ტექნოლოგიებს და ეს არის გამოწვეული კომპეტენციები (ყველა საგანში უნდა გამოიყენებოდეს ტექნოლოგიები, იქნება ეს ისტორია, ქართული, მათემატიკა თუ სხვ. როგორ მოძებნო პრეზენტაციისთვის მასალა, მერე როგორ ააწყო პრეზენტაცია, ამისთვის ცალკე საგნის სწავლება საჭირო არ არის); და მეორეც, ძალიან აქტიურად ისწავლება კომპიუტერული აზროვნება დამამთავრებელ კლასებამდე და უფროს კლასებში მოსწავლეს შეუძლია არჩევით საგნად (უფროს კლასებში საგნების არჩევითობას დიდი ყურადღება ეთმობა) ისწავლოს პროგრამირება. შესაბამისად, იქ წარმოუდგენელია, უნივერსიტეტში, კომპიუტერული მეცნიერებების ან კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით მოვიდეს ადამიანი, რომელმაც პროგრამირება საერთოდ არ იცის. ჩვენ შემთხვევაში, ასეთი სიტუაცია გვაქვს – სტუდენტების 10-15%-მა პროგრამირება მეტ-ნაკლებად იცის, ვთქვათ, თამაშების წერა და ა.შ., ანუ პროგრამირების საწყისები. ამ პროცენტსაც ან კერძო სკოლის კურსდამთავრებულები შეადგენენ, ან მხოლოდ იმ საჯარო სკოლის, სადაც წელში გამართული კლუბებია (ეს უფრო მათემატიკურ სკოლებს ეხება), ან მშობლებს დაყავთ ფასიან სტუდენტებს. სტუდენტების, დაახლოებით, 80% პროგრამირებას საერთოდ არ შეხება. ლოგიკურია, რადგან სკოლაში არ ვასწავლით, შემდეგ მოსწავლეები პროფესიულშიც არ მიდიან პროგრამირებაზე. ეს რაც შეეხება ისტ.

ახლა რაც შეეხება ლიტერატურას, რა შევცვალეთ ლიტერატურის სწავლებაში? განსაკუთრებული არაფერი. ამის პასუხია, რომ პიზის ყოველი კვლევის შემდეგ ვწუწუნებთ, შედეგები ძალიან დაბალია. პიზაში ძალიან მნიშვნელოვანია ტექსტის გააზრების უნარი. ჩემი შვილის მაგალითზე გეტყვი – ამერიკიდან რომ ჩამოვედით, ჩემი უმცროსი შვილი მეორე კლასში იყო. ერთ-ერთ ქართულენოვან კერძო სკოლაში მივიყვანეთ, არ მოგვეწონა და მეორეში გადავიყვანეთ. ისიც არ მოგვეწონა და ახლა ინგლისურენოვან კერძო სკოლაში სწავლობს. ამის მიზეზი სწორედ ის გახდა, რომ რეალურად ტექსტის გააზრების უნარებს, როგორც ის ამერიკაში სწავლობდა პირველ კლასში, არც ერთ სკოლაში არ ასწავლიდნენ. სტანდარტულად ისწავლება – რა იგულისხმა ავტორმა? რას ფიქრობდა გმირი? დაწერე შინაარსი. ლიტერატურის სწავლება ნიშნავს, რომ ადამიანს, პირველ რიგში, კრიტიკულ აზროვნებას უფიქრებ და მეორე რიგში – ემპათიას. მან გმირის ადგილას უნდა დაყენოს თავი, მაგრამ ეს ასე ადვილად არ ხდება, მხოლოდ შეკითხვით – შენ რას იზამდი გმირის ადგილას? – ეს ვერ მოხდება, სხვაგვარად სჭირდებათ ბავშვებს ამის მიწოდება. ამიტომ ვფიქრობ, ლიტერატურის სწავლებაშიც არაფერი შეცვლილა.

არც მათემატიკაში შეგვიცვლია არაფერი იმიტომ, რომ მათემატიკაში, დღეს, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამოთვლითი აზროვნების განვითარებას. ამისთვის კი, ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ ინსტრუმენტები – თუნდაც, სასარგებლო პორტალის გამოყენება, ვასწავლოთ რეალურ ცხოვრებაში როგორ შეუძლიათ რაღაცების გათვლა. მათემატიკის სწავლება აუცილებლად პროექტებზე დაფუძნებული უნდა გახდეს, ნაწილობრივ მაინც. ესეც არ გავვიკეთებთ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სკოლების ნახევარს არ აქვს გამართული ლაბორატორიები, ისეც და ისეც, ვერც ელექტრონულ რესურსებს ვიყენებთ მაინც და მაინც კარგად. ფაქტობრივად, რა სფეროსაც უნდა შევხებით, ერთი და იგივე მდომარეობაა. სპორტის ხომ, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს სკოლებში, შესაბამისად – არც სკოლებს შორის სპორტული შეჯიბრები, რაზეც დგას ევროპა და ამერიკა. ამდენი რეფორმის, საერთაშორისო პროექტის თუ დახარჯული ფულის მიუხედავად, ვერც ერთ კომპონენტს ვერ იპოვით დღეს ჩვენს განვითარებად სისტემაში, რომელიც გამართულია და თანამედროვეობას პასუხობს.

– რა პერსპექტივას ხედავთ?

– პირველ რიგში, აუცილებლად უნდა დავინახოთ ერთიანი სურათი და შევიძულოთ სწორი გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ელექტრონული რესურსების სწრაფად განვითარებას ქართულ ენაზე – არა თავად მასწავლებლის მიერ შექმნილს, არამედ კარგად გამართულ ელექტრონულ რესურსს. ასევე, აუცილებლად უნდა დაიგეგმოს სასკოლო რაიონები, რომელზეც უკვე ვისაუბრე. სასკოლო რაიონი ერთიანად უნდა ვითარდებოდეს და ამ პროცესში აუცილებლად თემი უნდა იყოს ჩართული, რაც მშობლის ჩართულობისა და ფსიქოლოგის როლის გაძლიერებასაც გულისხმობს. და კიდევ ერთი ძალიან დიდი პრობლემა, რომლის მოგვარებაც აუცილებელია – არ გვაქვს კარიერული რჩევის სერვისი.

– ვეთანხმებით, პროფესიის არჩევა ქართველი ახალგაზრდებისთვის ძალიან რთული საკითხია, ხშირ შემთხვევაში, სრულიად გაუცნობიერებლად ირჩევენ პროფესიებს და გარკვეული დროის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ ეს ის საქმე არ არის, რომელსაც სიყვარულით გააკეთებენ.

– ეს მართლაც ძალიან დიდი პრობლემაა. როგორ ხდება ამერიკაში – ამაზე მუშაობას დაახლოებით მეშვიდე კლასიდან იწყებენ. სხვადასხვა აქტივობებით აცნობენ მოსწავლეებს პროფესიებს, სკოლაში მოჰყავთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და ისინი ყველანაირად თავიანთი პროფესიების შესახებ. თვითონ მოსწავლეები დაჰყავთ ხოლმე სხვადასხვა სანარმოსა თუ ქარხანაში და ადგილზე აცნობენ, რა ტიპის სამუშაოები მიმდინარეობს იქ. მაგალითად, თვეში, მსგავს მიხინძიძეს ერთი დღე ეთმობა. შემდეგ, ნელ-ნელა, კლასის მიხედვით (VIII-IX კლასებში), იზრდება აქტივობები. იქ ძალიან ძლიერია ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლების როლიც, ზოგადად, პროფესიული განათლება ძალიან ძლიერი იმიტომ, რომ ორ წელიწადში გამოდიხარ პროფესიონალი და წარმატებით იწყებ მუშაობას. ამიტომ მოს-

წავლეები მიჰყავთ პროფესიონალებში, უნივერსიტეტებში და აცნობენ პროფესიებს.

გარდა ამისა, VIII-IX კლასების მოსწავლეებს უტარებენ ტესტებს – პიროვნების ტესტს, რომელიც ადგენს, მაგალითად, რა გამოგდის უკეთ. ვთქვათ, შენ კარგად გამოგდის ადამიანებთან ურთიერთობა და იქნები კარგი მენეჯერი ან სხვა რამ... ტესტის არჩევნებს რომელ სერვოში იქნები შენ უფრო წარმატებული. ცხადია, ეს ვალდებულება არ არის, მაგრამ მოსწავლეს სწორედ ამ ტესტის შედეგების მიხედვით შეუძლია X-XII კლასებში დაგეგმოს, რომელი არჩევითი საგანი ისწავლოს, ანუ, რეალურად, ასე აყალიბებს იგი მომავალი პროფესიის არჩევანსაც.

აქედან გამომდინარე, ის გაცილებით მომზადებული მიდის უნივერსიტეტში, სადაც უკვე პროგრამირების პარადიგმებს სწავლობს, პროგრამას წერს. ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი კარიერული რჩევები. ჩვენ რომ ნაიკის მიერ გამოცხადებული პროგრამების არჩევანს შევხედოთ, ვნახავთ, რომ აბიტურიენტების ძალიან დიდი რაოდენობა ისევ ბიზნესის პროგრამებზე მიდის ან სოციალურ მეცნიერებებსა და სამართალს ირჩევს. ამ დროს, მსოფლიო იქით მიდის, რომ ბიზნესში ადგილები შეამციროს, რადგან ყველაფერი ტექნოლოგიებზე გადადის და სწორედ ტექნოლოგიებში ვგვირდება მეტი ადამიანი. ჩვენს ქვეყანაშიც კარგ პროგრამისტზე, II-III კურსიდან, უკვე ტაციაობაა, კარგ ხელფასებზე მიჰყავთ ახალგაზრდები. ახალდამთავრებულს, თუ გამართულად ისწავლა, თავისუფლად შეუძლია 2000-3000-ლარიან ანაზღაურებთან სამსახურში დასაქმება. სხვა რომელ სფეროში შესაძლებელია 21 წლის ახალგაზრდის ასეთ ხელფასზე დასაქმება? ან თუ არის, მაშინ ძალიან გამორჩეული უნდა იყო, აქ კი, საკმარისია, შენი მიმართულება კარგად იცოდეს, თან ეს ისეთი მიმართულებაა, რომელშიც არანაირ საზღვრებს არ აქვს მნიშვნელობა. ამაზეც ვესაუბრები ხოლმე მოსწავლეებს, ვაცნობ ჩემს მეგობრებს, რომლებიც წამყვან კომპანიებში დასაქმდნენ – ჩემი მეუღლე ეფემო მუშაობს, მყავს მეგობრები ცისკოში, სილიკონის ველზე და ცდილობს, მოსწავლეებს და სტუდენტებს მათთან ონლაინ შეხვედრები მოეწყოს. მათ მაგალითზე მინდა დაინახონ ქართველმა მოსწავლეებმა, რომ წარმატებისთვის მნიშვნელობა არ აქვს სად სწავლენ. ამ ადამიანებმაც აქ მიიღეს განათლება და შემდეგ დასაქმდნენ გუგლში ან სხვაგან.

მათ შორის ჩემი ყოფილი სტუდენტებიც არიან. ვიდრე ამერიკაში წავიდოდი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლიდი მათ, ცოტა ხანში ისინიც ჩამოვიდნენ ლაბორატორიაში და დღეს გიორგი ცისკოშია ინჟინერი, თამარი კი – გუგლში. ასე დრო, ჩვენ კი ვცდილობთ, მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში დავეხმაროთ, მაგრამ, მთავარია, ამ კუთხით, სკოლაში იმუშაოს ბევრი.

– პანდემიის პერიოდში ნათლად გამოჩნდა ჩვენი დამოკიდებულება ტექნოლოგიების მიმართ, მასწავლებელი, მოსწავლე... სად ვართ?

– ტექნოლოგიების მიმართულებით ნაპრაღია მასწავლებლები-სა და მოსწავლეების უნარებს შორის. ეს გასაკვირი არც არის, რადგან, ზოგადად, ჩვენ არ ვართ ტექნოლოგიურად განვითარებული ერი. პირველ რიგში, ამის მიზეზი ის არის, რომ ამ პროცესს ევოლუციურად ვერ მივყევით, საბჭოთა კავშირის გამო. პირველად კომპიუტერი რომ ვნახე, უნივერსიტეტს ვამთავრებდი, ამ დროს, უცხოეთის ქვეყნებში უკვე სკოლებში აქონდათ კომპიუტერები. მაგალითად, ესტონეთში, 1996 წელს, უკვე ყველა სკოლაში იყო კომპიუტერული კლასი. მეორეც – როცა თავს „დაგვეცა“ კომპიუტერი და ტექნოლოგიები, მასწავლებლებს არ შეევათაზე უწყვეტი განათლების შესაძლებლობა. ეს ადამიანები სპეციალურად უნდა გადაგვეზადებინა ამ მიმართულებით ძალიან სერიოზულად, საოფისე პროგრამებიდან დაწყებული, ზოგადად კომპიუტერის გამოყენებით დასრულებული. ტექნოლოგია უკვე გაჩნდა რეალობაში და თან გაჩნდა ინგლისურ ენაზე, ესეც, თავისთავად, პრობლემური იყო.

პანდემიის დროს კი იმარჯვა სამინისტრომ და მაიკროსოფტისგან შესყიდული პლატფორმები გამოიყენა. ემისიც კარგად მუშაობს, ყველა სკოლას, მეტ-ნაკლებად, გაუმართა პროგრამა, რომ მარტივად შეძლოთ გაკვეთილის თიშში ჩატარება, მაგრამ ეს ონლაინ სწავლების 5%-იც კი არ არის (პირისპირ რასაც ასწავლიდი, ის ეკრანთან ასწავლო), დანარჩენი 95%-ი ეს არ არის დისტანციური სწავლება, ამიტომ დაარქვეს უცხოელმა საერთაშორისო ექსპერტებმა ასეთ სწავლებას საგანგებო და დამორბეული სწავლება. რასაც პირისპირ ასწავლი, ის რომ სწორად გადაიტანო ონლაინ სწავლებისას, ამაზე სამი-ოთხი თვე მაინც უნდა იმუშაო. ვის აქვს ამის დრო? ან რამდენ სკოლას აქვს უნივერსიტეტსა ჰყავს ამისთვის დამხმარე ტექნოლოგიური ჯგუფი. ეს მხოლოდ ჩვენთან არ არის პრობლემა, უცხოეთშიც ძალიან სერიოზულ პრობლემად იქცა, მაგრამ მათ აღიარეს პრობლემები, ჩვენ – არა. ჩვენ მიგვანჩნია, რომ დისტანციური სწავლება წარმატებულად განვახორციელებთ. თავის მოტყუება იმის თქმა, რომ ტელესკოლის გაკვეთილებს თუ უყურებს ბავშვი, ეს იგივეა, რაც გაკვეთილში მონაწილეობა (თავისთავად, ტელესკოლის გაკვეთილებს არაფერს ვერჩი, ძალიან კარგი გაკვეთილები ტარდება). იყო სკოლები, რომლებიც კვირაში სამ-ოთხ გაკვეთილს ატარებდნენ, სამინისტრომ კი გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომ ამდენი ბავშვი ესწრებოდა დისტანციურ გაკვეთილებს. დავთვალეთ, რამდენ გაკვეთილს დაესწრო მოსწავლე? თუკი კვირაში 20 საათია საშუალოდ გათვალისწინებული, მოსწავლეს დღეში ოთხი გაკვეთილი უნდა უტარდებოდეს და თუ ამის ნაცვლად, კვირაში სამ გაკვეთილს უტარებს, ჩნდება ლოგიკური კითხვა: როგორ დავარე სასწავლო გეგმა? ანუ ეროვნული სასწავლო გეგმა შეგიძლია მესუთედ დროში დაფარო? თუ იმის იმედს გვაქვს, რომ ბავშვი სახლში დამოუკიდებლად მუშაობს? ეს შეუძლებელია ან მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ მშობლებია ჩართული დიდი დოზით. რეალობიდან გამომდინარე კი, ვიცით, რომ მშობლებს ამის არც შესაძლებლობა და არც დრო აქვს, რადგან პანდემიამ სხვა გამოწვევის წინაშე დააყენა. პრობლემა იმაშია, რომ ამის ანალიზს არავინ აკეთებს ან ზედაპირულად აკეთებენ, რომ მოგვაჩვენონ,

თითქოს ყველაფერი კარგად გაკეთდა.

სექტემბერში, როცა სკოლების გახსნას ფიქრობდნენ, ელემენტარულად, მოსწავლეებისთვის ტესტირება მაინც უნდა ჩატარებინათ, ხომ უნდა დაედგინათ, ვინ ჩამორჩა პროგრამას. იგივე უნდა გაეკეთებინათ ახლა, თებერვალში როცა გაიხსნა სკოლები. თუ ვიცით, მაგალითად, რომ ნახევარი კლასი ჩამორჩა პროგრამას, ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ასათვისებელია და მათ, ჩამორჩენის დასაძლევად, მოქნილი სისტემა, „სხვადასხვა მარშრუტები“ შევთავაზოთ, როგორც ეს ამერიკაშია. მოსწავლეებს ტესტავენ და მიჰყვებიან მარშრუტს – უფრო მარტივ მათემატიკას ისწავლის თუ უფრო რთულს. რეალურად, მთელი წელი ამოვუგდეთ ბავშვებს და თუ რომელიმე ვერ ისწავლა ალგებრის საწყისები, მერე უფრო რთულ ალგებრას როგორღა ისწავლის? ამიტომ, ხაზგასმით ვამბობ, რომ აუცილებლად გვჭირდება ტესტირება და შემდეგ რემედიაციის პროგრამები ან საზაფხულო სკოლები, რასაც „სკოლიდან რეპეტიტორობა“ ჰქვია.

– მშობლის გადმოსახედიდან, რა როლი აქვს მას სასკოლო განათლებაში, როგორ მიდგომება უფრო გამართლებული ბავშვის აღზრდისას?

– ძალიან რთული საკითხია. მე არ მიმაჩნია, რომ სწორად ვახერხებ აღზრდას, გაცილებით მეტია საჭირო. გზადაგზა სწავლობ, მეორე შეილთან უფრო სწორად იქცევი, ვიდრე პირველთან, რადგან შენი ცოდნაც იზრდება და აღზრდის თეორიებიც ვითარდება. ამიტომ, არასდროს ვიცით, მართლა სწორად ვიქცევით თუ არა, არადა, ბავშვის პოტენციალის განვითარება ჩვენი პასუხისმგებლობაა.

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა, განსაკუთრებით სკოლამდელი აღზრდის დროს. სწორედ ამ დროს უნდა განუვითარდეს ბავშვს წიგნის და, ზოგადად, სწავლის სიყვარული. ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ფორმალურ სასწავლო გარემოში, პირიქით, ცოდნის სიყვარული ბავშვს თამაშით უნდა გაუჩნდეს. რაოდენობრივი აზროვნება მას აუცილებლად სკოლამდე უნდა განუვითაროთ. მათემატიკა ცხოვრებაა და მას ეს უნდა ვაგრძნობინოთ, მაგალითად, ნამცხვრის მომზადების დროს, ერთი ულუფის რეცეპტი მასთან ერთად შევცვალოთ ორი ულუფით, დავთვალეთ კიბეები, მაღაზიაში ვაყიდავთ რამე და ასე თამაშით, ხალისით განუვითაროთ რაოდენობრივი აზროვნება. თუ ბავშვს რაოდენობრივი აზროვნება არ აქვს განვითარებული, სკოლა მას, პირველ კლასში, სათანადოდ მომზადებული ვერ ხვდება, მათემატიკას აბსტრაქტულად, ფურცელზე სთავაზობს. ბავშვების 70%-ისთვის ეს ძალიან მოსაწყენი და რთულად აღქმადია. გამოთვლითი აზროვნება ნამდვილად აღარ არის პრივილეგია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნარია ისევე, როგორც 5-10 წელიწადში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდება ტექნოლოგიების ცოდნა, რომელიც ჯერ კიდევ პრივილეგიურად ითვლება. ამ უნარის გარეშე ვერაფერს გააკეთებ მომავალში. ამიტომ, აუცილებელია, მშობლებმა ბავშვებში ცოდნის სიყვარულისა და მათემატიკური აზროვნების განვითარებაზე სკოლამდელ ასაკში ვიზრუნოთ. ბავშვმა პატარა ასაკიდანვე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა თავის სწავლის პროცესზე. მე ეს უფროს შვილთან მაინც და მაინც ვერ მოვახერხე, რადგან მეგობარი, მეტი ჩართულობა უმჯობესი იყო. რთული დასაცავია ზღვარი – ყურადღება ზედმეტ მზრუნველობაში ხომ არ გადადის.

ამერიკაში, ჩემს შვილს ერთი მეგობარი ჰყავდა, თანაკლასელი, რომელიც ზრდასრული ადამიანისთვის იყო, ძალიან პასუხისმგებელია, V კლასიდან VIII კლასამდე ერთად სწავლობდნენ. დი-აბეტი ჰქონდა და თვითონ აკვირდებოდა კვების რეჟიმს, ითვლიდა კალორიებს და ინსულინის ამის მიხედვით ეკეთებდა. სულ მიკვირდა, ამას დამოუკიდებლად როგორ ახერხებდა. ერთხელ დედას ვკითხე, როგორ მოახერხა ეს? მითხრა, რომ აძლევს უფლებას, შეცდომები დაუშვას. ლანჩი ან რვეული თუ დარჩება სახლში, არასდროს მიმაქვს სკოლაში, უნდა გაიზაროს შეცდომის შედეგით. სულ მახსოვს ეს სიტყვები და ვეთანხმები, უმჯობესია, შვილებს დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მივცეთ.

– დაბოლოს, თქვენს სამომავლო გეგმებში შედის თუ არა სამშობლოში ხანგრძლივად დაბრუნება და კიდევ, ტექნოლოგიების გარდა, რომელ სფეროს უჭირავს თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი?

– ახლა ისევე ამერიკაში მივდივარ, რადგან იქ პატარა კომპანია გვაქვს კვლევის მიმართულებით და მინდა იმასაც მივხედო. ბავშვებიც იქ გააგრძელებენ სწავლას. თუმცა, ხშირად ჩამოვალ, უმეტესი დრო ისევე საქართველოში ვიქნები, დაწყებული პროექტები რომ დავასრულო. მომავალში კი, 10-15 წლის შემდეგ, მე და ჩემი მეუღლე სამშობლოში დაბრუნებას ვფიქრობთ. არ ვიცი, ჩემს შვილებს ექნებათ თუ არა ამის სურვილი, ძალიან კოსმოპოლიტები არიან, მათთვის თითქოს საერთოდ არ არსებობს ადგილის ცნება, შეიძლება იმის გამო, რომ ადრეულ ასაკში წავიყვანეთ ამერიკაში, ერთი 8 წლის იყო, მეორე – 2 წლის. ორივეს ძალიან უყვარს მეცნიერება და შესაძლოა, ამიტომაც არიან რაციონალურები.

რაც შეეხება ჩემს ინტერესებს, მართალია, ფორმალური განათლება არ მაქვს განათლების მენეჯმენტისა და განათლების პოლიტიკის კუთხით (პროფესიით მათემატიკოსი ვარ, შემდეგ გადავედი ელექტროინჟინერიაში და კვლევებაც ამ მიმართულებით მაქვს), მაგრამ ეს არის სფერო, რომლის შესახებაც ყველაზე მეტს ვკითხულობ, ცხადია, ჩემი პროფესიული ლიტერატურის შემდეგ. ასევე ძალიან მაინტერესებს ფსიქოლოგია, მგონია, რომ ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე, შეუძლებელია, კარგად მიხედო როგორი უნდა იყოს სწორი განათლება.

ჩვენი ოჯახის ძირითადი გასართობი კი მოგზაურობა ან სამაგიდო თამაშების, ასევე ძალიან გვიყვარს სამეცნიერო მუზეუმებში სიარული. ხშირად ვსტუმრობთ „ესკივე რუმსაც“, ეს ჩვენი ოჯახის და მეგობრების საყვარელი გასართობი ადგილია.

ახიზრუიანტოა დასახარაბლად

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის ზოგად უნარებში



თორა ლოდა

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის წარმომადგენელი

შევეცდები, გაგიზიაროთ ინფორმაცია, რომელიც, ვფიქრობ, დაგეხმარებათ ზოგადი უნარების ტესტის შესახებ ზუსტი წარმოდგენის შექმნაში. დაგინებთ იმით, თუ რას ნიშნავს ზოგადი უნარები. ტერმინით „ზოგადი უნარები“ აღინიშნება ინფორმაციის ადეკვატურად აღქმის, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის უნარი. ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის წარმატება ზოგად უნარებზე დამოკიდებულია. ის განსხვავდება სპეციფიკური უნარებისაგან, როგორებიც არის, მაგალითად, მუსიკალური ნიჭი, ხატვასა თუ შემოქმედების ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებული სხვადასხვა უნარი.

ზოგადი უნარები ვლინდება აზროვნების უნივერსალური ოპერაციების, ანალიზის სინთეზის, აბსტრაგირების, განზოგადების სახით და ის ადამიანს წლების განმავლობაში უფიქრობდა. ზოგად უნარებს ავითარებს კითხვა, მეცადინეობა, მეცნიერებასა თუ კულტურასთან ზიარება, ადამიანებთან ურთიერთობა, შემოქმედებითი საქმიანობა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ აბიტურიენტები, წლების განმავლობაში, ემზადებიან ზოგადი უნარების ტესტისთვის და აქვე დავძენ, რომ არაერთი კვლევით დადასტურდა, რომ მხოლოდ ბოლო წელს რეპეტიტორთან დახარჯული დრო, ზოგადი უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად, ხშირ შემთხვევაში, არ არის შედეგიანი. საკმარისია, აბიტურიენტმა იცოდეს ზოგადი უნარების ტესტის სტრუქტურა და დავალების ამოხსნის პრინციპები. სწორედ ამ პრინციპების შესახებ გეასუბრებით დღეს.

რას ამოწმებს ზოგადი უნარების ტესტი? ზოგადი უნარების ტესტი ამოწმებს სხვადასხვა სახით მოცემული ინფორმაციის გაგებისა და გააზრების უნარებს. ზოგადი უნარების ტესტი შექმნილია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით. დღემდე, არაერთი ქვეყანაში, ამ ტიპის ტესტით ხდება აბიტურიენტთა შერჩევა. ეს ქვეყნებია, მაგალითად: აშშ, ისრაელი, შვედეთი.

არაერთი კვლევით არის დადასტურებული, ასევე, ზოგადი უნარების ტესტის პროგნოსტული ღირებულება, რაც გულისხმობს იმას, რომ აბიტურიენტები, რომლებიც მაღალ ქულებს იღებენ ზოგადი უნარების ტესტში, წარმატებულები არიან შემდგომ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის დროს, ასევე, პროფესიული საქმიანობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების ტესტი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით შეიქმნა, ტესტში არ შეგხვდებათ არც ერთი დავალება, რომელიც უცხოური ლიტერატურიდან არის ნათარგმნი. ტესტის ქმნიან ქართული ექსპერტები და თითოეული დავალება არა ერთგზის არის გამოცდილი ექსპერტულად, ასევე საცდელი ტესტირების გზით დადგენილია თითოეული დავალების სტატისტიკური მახასიათებლები.

ტესტში შეგხვდებათ სხვადასხვა სირთულის დავალებები, რომლებიც დალაგებულია პრინციპით – მარტივიდან რთულსკენ. ზოგადი უნარების ტესტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი დაძლევა არ მოითხოვს რაიმე ტიპის სპეციფიკურ საგნობრივ ცოდნას, შესაბამისად, ის თანაბარ პირობებში აყენებს სხვადასხვა სოციალურ კულტურულ გარემოში მცხოვრებ აბიტურიენტებს.

მეცნიერული კვლევებით დადგენილია ზოგადი უნარების გამოვლენის რამდენიმე სფერო, მათ შორის, მთავარია **ვერბალური (ენობრივი) კომპეტენცია** და **მათემატიკური უნარები**. ზოგადი უნარების ტესტიც სწორედ ამ ორ უნარს ეფუძნება და, შესაბამისად, ტესტის სტრუქტურა მოიცავს ორ ნაწილს – **ვერბალურ, ანუ ენობრივ ნაწილს** და **მათემატიკურ ნაწილს**. განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული მათგანი:

ვერბალური ნაწილის დავალებები რამდენიმე ბლოკისგან შედგება: პირველია **ლოგიკა**, შემდეგ – **წინადადებების შევსება** და **ნაკითხულის გააზრება**, რომელსაც მოსდევს **ანალოგიის ტიპის დავალებები**. განვიხილოთ ცალ-ცალკე თითოეული მათგანი.

ლოგიკის ბლოკის დავალებების მიზანია, შეამოწმოს რამდენად შეუძლია აბიტურიენტს ლოგიკური მსჯელობა. ამ ტიპის დავალებათა მეშვეობით მოწმდება: არსებული მონაცემების (წინამძღვრების) საფუძველზე დასკვნის სწორად გამოტანის უნარი, ასევე, არსებული მონაცემების საფუძველზე გამოთქმული ვარაუდის კრიტიკულად შეფასების უნარი.

თქვენ ხედავთ ლოგიკის ბლოკის ერთ-ერთ დავალებას:

ლოგიკა

მოცემულია:

- მიუხედავად ნაკადულის წყალი ცივია.
- მხოლოდ მიუხედავად ნაკადულის პირს ზინადრობს სალამანდრა, რომელთა წყალიც ქვემოთ ჩამოთვლილიაგან რომელი არ გამოიძინაოებს ამ წანამდღებშიდან?

ა) მხოლოდ დაბლობში მომდინარე ნაკადულში შეიძლება იყოს წყალი თბილი;
 ბ) მხოლოდ იმ ნაკადულების პირს ზინადრობს სალამანდრა, რომელთა წყალიც ცივია;
 გ) მიუხედავად მხოლოდ ის ნაკადულები გვხვდება, რომელთა წყალიც ცივია;
 დ) მხოლოდ მიუხედავად ნაკადულის წყალი ცივია;
 ე) მხოლოდ იმ ნაკადულშია წყალი თბილი, რომელთა პირსაც სალამანდრა არ ზინადრობს.

დავალების პირობაში მოცემულია ორი წინამძღვარი, ორი პირობა. აბიტურიენტს ევალება, ამ წინამძღვრების გათვალისწინებით, გამოიტანოს სწორი დასკვნა და, მოცემული 5 შესაძლო პასუხიდან, შეარჩიოს ერთი სწორი ვერსია.

ლოგიკის ბლოკის დავალებებში შეგხვდებათ დავალებები, რომლებშიც აქცენტი გაკეთებულია ობიექტებს შორის მიმართებებზე. ეს მიმართებები, შეიძლება, იყოს სივრცითი – მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ... ან სხვა ტიპის – მსუბუქი, მძიმე, მაღალი, დაბალი...

ლოგიკა

საერთაშორისო კონფერენციის პარალელურ დისკუსიაში შეიქმნა სხვადასხვა ვერსიული ქვეყნის ოთხი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. სტენოგრაფიული განლაგება: კრიონიისგან თანხანა მინასია დასრულებულია სპეციალური სხვადასხვა დანაშაულის, ინგლისელი, პორტუგალიელი, ფრანგი და შვედი მომხმარებელი (ანა აუკლუბლად ამ თანხმსდგრობით).

- ფრანგი ზის მდგის მარცხენ. მათ შორის კი ორი მომხმარებელი ზის.
- ინგლისელი ზის ზუსტად შუაში, ხოლო მისგან ფრანგი და შვედი ოთხივემ არის დასრულებული.

ქვემოთ ჩამოთვლილიაგან რომელია მუდღებულად?

ა) ფრანგი მომხმარებელი განასიის ზის;
 ბ) ესპანელი მომხმარებელი განასიის ზის;
 გ) დანიელი მომხმარებელი ფრანგის ვერსიის ზის;
 დ) შვედი მომხმარებელი ინგლისელს ვერსიის ზის;
 ე) პორტუგალიელი მომხმარებელი ფრანგის ვერსიის ზის.

თქვენ ხედავთ დავალებას, რომლის პირობაშიც სწორედ ამგვარი მიმართებებია აღწერილი. აბიტურიენტს ევალება, შექმნას გარკვეული მოდელი და, შესაძლო პასუხების ვერსიებიდან, აარჩიოს შეკითხვის შესაბამისი სწორი ვერსია.

ლოგიკის ბლოკის დავალებებში, ასევე, შეგხვდებათ ისეთ დავალებებს, სადაც პირობაში მოცემულია კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული გარკვეული ვარაუდი. აბიტურიენტის ამოცანაა, ეს ვარაუდი კრიტიკულად შეაფასოს.

ლოგიკა

ერთიანი კვლევის თანხმად, სახით პოლყოფილ, რომლებსაც უწევს რაიარის გამოცემა აუტოსტრესის სინდრომის თვალსაჩინოებლად, გაიღებთ უფრო ხშირად ავადდებიან, ვიდრე აუტოსტრესის მქონე ამის საფუძველზე იარაღებს, რა რაიარის გამოცემა გულის ასევე უნარების მდგრობაზე.

ქვემოთ ჩამოთვლილიაგან რომელია ვერსი უფრო ადეკვატური?

ა) პოლყოფის კვლევის წარმოადგენს მდგრობის მდგრობის მდგრობის თვალსაჩინოებლად პოლყოფის მონის, არ მუდღებოთ რაიარის გამოცემა მათი სახეობის სტატისტიკის გამოყენებით;
 ბ) სახით პოლყოფის თანხმობაზე, ისევე, როგორც აუტოსტრესის მქონე, ჩვეულებრივ, ნებისმიერ ასრბის უწევს ერთი მუხობის;
 გ) აუტოსტრესის მქონე, განხილვის სახით პოლყოფის მონის, არ სწორდებიან იმ ტექსტის გამოცემა, რომელიც აღწერილია მათი ტექსტის ასრბის;
 დ) რაიარის მონაცემს პოლყოფის განხილვის გამო უფრო ხშირად ავადდებიან ნებისმიერ, ვიდრე პოლყოფის მუხ უწევს თანხმობაზე;
 ე) აუტოსტრესის მქონე, გაიღებთ სინდრომის სახეობის დღე ავად, ვიდრე პოლყოფის თანხმობაზე.

ამ შემთხვევაში, წარმოდგენილია დავალება, რომლის პირობაშიც მოცემულია ვარაუდი. აბიტურიენტს ევალება, შესაძლო პასუხების ვერსიებიდან, შეარჩიოს ის პასუხი, რომელიც წარმოდგენილი ვარაუდის ეჭვქვეშ დასაყენებლად გამოდგება.

ლოგიკის ბლოკის მოსდევს **წინადადების შევსების ბლოკის** დავალებები. ამ ბლოკის დავალებათა მიზანია, შეამოწმოს რამდენად შეუძლია აბიტურიენტს წინადადების ნაწილებს ან წინადადებებს შორის ლოგიკური კავშირების წვდომა. წინადადების შევსების ბლოკის დავალებაში მოცემულია პირობა, რომელშიც წარმოდგენილია ერთი ან რამდენიმე წინადადება, რომლებშიც გამოტოვებულია ადგილი. გამოტოვებული ადგილი აღნიშნულია ხაზებით. პასუხების შესაძლო ვერსიებში მოცემულია ამ გამოტოვებულ ადგილებში ჩასასმელი წინადადებების ნაწილების სხვადასხვა ვერსია.

წინადადების შევსება

----- შემოქმედებითი ადამიანი, პედანტურობა -----
 ხელსაყრელია, რადგან ----- ერგები ბიუროკრატიულ და ტექნოკრატიულ კულტურას.

ა) არ არის ძელი, იყო / ნაკლებად / არ გაქვს პასუხები და ვერ
 ბ) არ არის ძელი, იყო / ნაკლებად / გაქვს პასუხები და ადვილად
 გ) არ არის ადვილი, იყო / ბევრად უფრო / არ გაქვს პასუხები და ვერ
 დ) არ არის ადვილი, იყო / ბევრად უფრო / გაქვს პასუხები და ადვილად

აბიტურიენტის ამოცანაა, ჩასვას თითოეული ნაწილი, თითოეული ვერსია გამოტოვებულ ადგილას ისე, რომ მიიღოს ლოგიკურად გამართული წინადადება. წინადადების შევსების ბლოკის მოსდევს **ნაკითხულის ტექსტის გააზრების დავალებები**.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილის მეშვეობით მოწმდება, თუ რამდენად ადეკვატურად გაიგო და გაიზრა აბიტურიენტმა ტექსტი.

ტექსტის წაკითხვისა და გააზრების შემდეგ აბიტურიენტმა პასუხი უნდა გასცეს შეკითხვებს, რომლებიც მოითხოვს:

- ფრაზების მნიშვნელობის განსაზღვრას კონტექსტის შესაბამისად;
- არგუმენტის მოძიებას კონკრეტული ვარაუდის გასამყარებლად ან გასაბათილებლად;
- კავშირის დამყარებას ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის შორის;
- ტექსტისა თუ მისი მონაკვეთის ძირითადი აზრის წდომას; ძირითადისა და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამოყვანას.

ამ ნაწილის მიზანია, შეაფასოს: რამდენად შეუძლია აბიტურიენტს წაკითხული ტექსტის ადეკვატურად გაგება-გააზრება, ტექსტის მონაკვეთებს შორის ლოგიკური კავშირის ამოცნობა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა, ძირითადი დასკვნის გამოტანა, მთავარი აზრის გამოტანა ტექსტიდან.

წაკითხული ტექსტის გააზრება

წინადადი ტექსტიდან:

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ექსპერიმენტების შედეგები ყველა მეცნიერისთვის დამარწმუნებელი არ არის. კრიტიკოსები სვამენ შეკითხვებს: გამართლებულია კი დასკვნების განზოგადება ლაბორატორიაში გამოზრდილი ხუთი ჩიტის საფუძველზე, რომლებიც, შესაძლოა, ყორნების სამყაროს აინტაინებენ? იყენენ? გარდა ამისა, ხომ შეიძლება, ყორნებს უბრალოდ ასოციაციური კავშირი ჩამოუყალიბდეთ იარაღსა და სასურველ საკვებს შორის?

თქვენ ხედავთ ნაწყვეტს, ამონარიდს ტექსტიდან, ერთ-ერთ აბზაცს და წარმოგიდგენთ დავალებებს, რომლებიც ეყრდნობა ამ აბზაცს. დავალებებში მოცემულია ამონარიდი აბზაციდან, ამ შემთხვევაში, ვარაუდი და, ასევე, ორი ინფორმაცია.

წაკითხული ტექსტის გააზრება

მეცნიერთა წარული ექსპერტის იყენებს ყორნების მოძიების დავალებების მიქლია კონკრეტული უნარების არსებობას. ქვემოთ ჩამოთვლილიაგან რომელია მუდღებოთ იყოს ამ კონკრეტული მონაცემების გასამყარებლად ადეკვატური?

ა) ყორნები, რომლებიც ჩატარებულ ექსპერიმენტს, შესაძლოა, თვითონ სახეობის უნარების გამოზრდილი ინდივიდები იყვნენ, რადგან მათი განმედილება – ექსპერიმენტული – გაიზარდა კარდინალ და, შესაბამისად, მათ „აინტაინებენ“ კვი გაქვს მოვლენის მართალი სახეობა;
 ბ) ყორნების ძირითადი საკვების წყარო მდგობს მთავარ საკვებებსა და მათი უნარების გამოყვანის კონკრეტული ვარაუდის უწევს საკვების მოძიებას;
 გ) მხოლოდ ბ;
 დ) მხოლოდ ბ;
 ე) არც ერთი.

აბიტურიენტის მიზანია, დაადგინოს, რამდენად გამოდგება ეს ორი ინფორმაცია წარმოდგენილი ვარაუდის გასამყარებლად. ნაკითხული ტექსტის გააზრების დავალებათა ბლოკში, ასევე, შეგხვდებათ დავალებები, სადაც მოცემულია დამატებითი ინფორმაცია.

წაკითხული ტექსტის გააზრება

განათის რაიარის ქვემოთაგან უნარებისგან კონკრეტული უნარების არსებობის პროგნოსტიკის თვალსაჩინოებლად, ფრანგი, რომელიც მომხმარებელია ყორნების დავალების უნარის საცდელ ექსპერიმენტს დაიბუტო მუდღებოთ ვერსიის დასკვნის მიხედვით, ისევე, როგორც კვლევის შესაძლებლობის საკვების მოძიებლად სასარგებლო სივრცის დასკვნის მიხედვით, მას მსგავსი რაი ექსპერიმენტითა მათი თვალსაჩინოებლად საკვების მოძიება უწევს. აღნიშნული პირობის დასაბუთო საკვების მოძიებლად სახით ოთხი უნარების გამოყვანა.

რედაქციის მონაცემის მიხედვით ჩატარებულ ექსპერიმენტს რომელი მდგობს დავალებების ექსპერტის მიხედვით უნარების გამოყვანის კონკრეტული ვარაუდის უწევს, რომ ყორნები უნარად ასოციაციური კავშირი ჩამოუყალიბდეთ იარაღსა და სასურველ საკვებს შორის?

ა) ყორნები უნარების მოძიების მიხედვით სასურველ და არა საკვების მოძიებლად იარაღს;
 ბ) ყორნები უნარების მოძიების მიხედვით სასურველ იარაღს მოძიებენ და არა – სასურველს;
 გ) ყორნები იყენებს დასკვნებს როგორც საკვების მოძიებლად იარაღს, ასევე სასურველს მოძიებას;
 დ) ყორნები გამოიყენებს იარაღს როგორც საკვების მოძიებლად იარაღს, ასევე სასურველს მოძიებას.

ამ ინფორმაციას ტექსტში ვერ შეხვდებით. აბიტურიენტის ამოცანაა, დააკავშიროს ეს ინფორმაცია ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან და, შეკითხვის შესაბამისად, გასცეს სწორი პასუხი.

გადვილებით **ანალოგიის ტიპის დავალებებზე**. ამ ტიპის დავალებების მიზანია, შეამოწმოს რამდენად შეუძლია აბიტურიენტს სიტყვების, ფრაზების მნიშვნელობების წვდომა, კონტექსტის შესაბამისად, ასევე, რამდენად შეუძლია სიტყვათა მნიშვნელობებს შორის არსებითი კავშირების, მიმართებების წვდომა და რამდენად აქვს მას მსგავს მიმართებათა გამოვლენის უნარი.

ანალოგიები

V აბზაცში ფრინველების მისამართით გვხვდება გამოთქმა **ყორნების სამყაროს აინტაინებენ**. ქვემოთ ჩამოთვლილიაგან რომელი გადმოსცემს ყველაზე ზუსტად ტექსტში ამ ფრაზის მნიშვნელობას?

ა) სპეციალურად გაწვრთნილინი
 ბ) განსაკუთრებულად უნარაინანი
 გ) ლაბორატორიაში გამოზრდილინი
 დ) ექსპერიმენტისთვის შერჩეულინი
 ე) ინდივიდუალურობით გამოიზრდილინი

აბიტურიენტთა დასახმარებლად

თქვენ ხედავთ დავალებას, რომელშიც წარმოდგენილია ფრაზა კონკრეტული აბზაციდან. აბიტურიენტის ამოცანაა, მიხედვით ამ კონკრეტული ფრაზის მნიშვნელობას და, პასუხების შესაძლო ვერსიებიდან, შეარჩიოს სწორი პასუხი.

დაბოლოს, ანალოგიის ტიპის დავალება, რომლის პირობაში წარმოდგენილია ორი სიტყვა, სიტყვათა წყვილი, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება.

ანალოგიები

წყვილში ასეთია: **დაკვირვება** ისეთივე მიმართება, როგორც წყვილში:

- შთაბეჭდილება : ზემოქმედება
- ენთუზიაზმი : გულგრილობა
- არგუმენტაცია : დარწმუნება
- პროტესტი : უკმაყოფილება
- სკეპტიციზმი : დაკვირვა

აბიტურიენტის ამოცანაა, დაადგინოს ამ სიტყვებს შორის მიმართება და, შესაძლო პასუხების ვერსიებს შორის, იპოვოს ანალოგიური სიტყვები, რომელთა შორისაც არის ანალოგიური მიმართება.

გადავიღეთ მათემატიკურ ნაწილზე. მათემატიკური ნაწილის მიზანია, დაადგინოს: რამდენად შეუძლია აბიტურიენტს რაოდენობრივი პრობლემების გადაჭრა, რიცხვებით და მათემატიკური ცნებებით ოპერირება, სხვადასხვა სახით მოცემული ინფორმაციის (გრაფიკის, ცხრილის, დიაგრამის...) გაგება-გაანალიზება.

მათემატიკურ ნაწილში შეხვედებით დავალებათა რამდენიმე ბლოკს: პირველია **რაოდენობრივი შედარება**, შემდეგში – **ამოცანები**, **მონაცემთა საკმარისობა** და **მონაცემთა ანალიზი**.

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უფრო მეტი მოცულობის რაოდენობები.

A	B
საკლასო ოთახში 12 მოსწავლე, რომელთა საშუალო ხაზსა და 150 სასტუმროს, მათგან ერთი მოსწავლე ოთახშია გაედა.	150 სა

- A სვეტის უფრო მეტი მოცულობის რაოდენობა მტკიცე B სვეტის უფრო მეტი მოცულობის რაოდენობაზე.
- B სვეტის უფრო მეტი მოცულობის რაოდენობა მტკიცე A სვეტის უფრო მეტი მოცულობის რაოდენობაზე.
- A სვეტის უფრო მეტი მოცულობის რაოდენობა B სვეტის უფრო მეტი მოცულობის ტოლია.
- მოცულობა ინფორმაცია საკლასო ოთახში არის იმის დასადგინად, რომელი რაოდენობა მტკიცე.

თქვენ ხედავთ რაოდენობრივი შედარების დავალებას, პირობაში მოცემულია მათემატიკური ამოცანა და წარმოდგენილია რაოდენობები. აბიტურიენტის ამოცანაა, შეადაროს ეს რაოდენობები ერთმანეთს და, პასუხების შესაძლო 4 ვერსიიდან, შეარჩიოს სწორი ვერსია.

ამოცანები

მართკუთხა სამკუთხედიდან, რომლის კათეტების სიგრძეებია 5 სმ და 7 სმ, ამოკვეთილია კვადრატია, რომლის გვერდის სიგრძეა 2 სმ. რამდენი კვადრატული სანტიმეტრია სამკუთხედის დარჩენილი ნაწილის ფართობი?

- 13.5
- 20
- 27.5
- 31
- 32.5

როგორც ხედავთ, ამგვარი ტიპის დავალებებს ხშირად შეხვედრისხარტ სკოლაში. ეს არის ჩვეულებრივი მათემატიკური ამოცანა, რომლის ამოხსნისას თქვენ გჭირდებათ ელემენტარული მათემატიკური ცნებებით ოპერირება. აქვე მინდა დავამატო, რომ მათემატიკურ ნაწილში დაგჭირდებათ გარკვეული ფორმულები და ყველა ეს ფორმულა, რომელიც შესაძლოა დაგჭირდეთ მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას, მოცემულია თავად ტესტში.

მონაცემთა საკმარისობა

გაბმულეობაში მონაცემთა კოლექციის შედეგთა ესაზრე, იტალიური და ფრანგული ნიშნობების თარეზი.

I. კოლექციის წევრებს იტალიურიდან თარეზის საზერ მტკიცე მოთხოვნა, ვიდრე ფრანგული უნდა.


II. იტალიური უნდა თარეზის 300 მოთხოვნა.

იმის გასარკვევად, თუ რისი ტოლია ფრანგული უნდა ნაიარეზი მოთხოვნის რაოდენობა:

- საკლასო I პირთა, ხოლო II პირთა არ არის საკლასო
- საკლასო II პირთა, ხოლო I პირთა არ არის საკლასო
- საკლასო I და II პირთა უნდა, მაგრამ ცალ-ცალკე არე ერთი არ არის საკლასო
- საკლასო ითხოვლი პირთა ცალ-ცალკე
- ორვე პირთა უნდა არ არის საკლასო, საქონა დახვედრით პირთა

დავალების პირობაში მოცემულია 2 პირობა და, დავალების შესაბამისად, დასმულია შეკითხვა. აბიტურიენტის ამოცანაა, დაადგინოს, რამდენად არის შესაძლებელი, ამ პირობების გათვალისწინებით, მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, ანუ რამდენად არის საკმარისი წარმოდგენილი პირობები დავალების პირობაში მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.

დაბოლოს, ხედავთ **მონაცემთა ანალიზის** ბლოკის დავალების ნიმუშს:



როგორც ხედავთ, აქ დიაგრამის სახითაა წარმოდგენილი გარკვეული ინფორმაცია. აბიტურიენტს ევალება, გაიგოს დიაგრამის, ცხრილის ან გრაფიკის სახით წარმოდგენილი ინფორმაცია, გაანალიზოს და უპასუხოს რამდენიმე შეკითხვას, რომლებიც მონაცემთა ანალიზის დავალების პირობას მოსდევს.

მონაცემთა ანალიზი

სულ რამდენმა სტუდენტმა აირჩია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გასადავის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები?

- 5 ათასმა;
- 10 ათასმა;
- 15 ათასმა;
- 20 ათასმა;
- 25 ათასმა.

ბოლოს რამდენიმე კომენტარი ტესტის შესრულების ტექნიკურ მხარეებთან დაკავშირებით. ტესტში შეგვხვდებათ 80 დავალება, აქედან 40 არის ვერბალური ნაწილის, 40 – მათემატიკური ნაწილის. დავალებები ერთმანეთისგან სირთულის მიხედვით განსხვავდება – ტესტის პირველ ნაწილში შედარებით მარტივი დავალებებია, ხოლო მეორე ნაწილში – შედარებით რთული. თქვენი ამოცანაა, სწორად გაანალიზოთ დრო. დიდ დროს ნუ დახარჯავთ ერთ დავალებაზე, ნუ შეჩერდებით. თუკი მიხვდებით, რომ ეს დავალება თქვენთვის რთულია, გადადით შემდეგზე.

თუკი დარწმუნდებით, რომ დავალება სწორად ამოხსენით, მაშინვე გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე. დრო ორად არის გაყოფილი, სულ 3 საათი და 10 წუთი გაქვთ – ვერბალურ ნაწილზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი, ხოლო მათემატიკურ ნაწილზე სამუშაოდ – 1 საათი და 35 წუთი. თუ თქვენ ვერბალურ ნაწილზე მუშაობა ადრე დაასრულეთ, დროის ამონწევრამდე, მათემატიკურ ნაწილზე გადასვლის უფლება არ გაქვთ.

სულ ეს იყო, რაც მინდოდა მეთქვა ზოგადი უნარების ტესტის შესახებ. ვფიქრობ, მონოდებული ინფორმაცია დავებმარებათ წარმატებით დაძლიოთ ზოგადი უნარების გამოცდა. წარმატებებს გისურვებთ!

სვლილა კანონი

გავშვთა უფლებების გასაძლიერებლად

ანა ფირსხალიაშვილი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელე, სხვა მრავალთა შორის, რაც ახალი საუკუნის დადგომას მოჰყვა, საგანმანათლებლო სფეროში კერძო სკოლების გაჩენაა. 30-წლიანი არასტაბილური გარემოს მიუხედავად, განათლების სისტემის ეს სექტორი მანც ვითარდება და რაოდენობრივადაც იზრდება. თბილისში უკვე რამდენიმე პრესტიჟული, მაღალი აკადემიური ხარისხის კერძო სკოლა გვაქვს. მათი დამფუძნებლები, ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა კერძო სექტორს არასოდეს ჰქონია, თუ არ ჩავთვლით იმ მწირ დაფინანსებას, ვაუჩერის სახით, რასაც ბოლო წლებში იღებენ კერძო სკოლების მოსწავლეები.

მორიგ დაბრკოლებად მათი განვითარების გზაზე კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიური პერიოდი იქცა – მშობელთა ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა თანხის ონლაინ სწავლებაში გადახდა, ნაწილმა კი, სამსახურის დაკარგვის გამო, შეიღებები საჯარო სკოლებში გადაიყვანა. მოკლედ, შექმნილმა ვითარებამ და იმანაც, რომ თანხის გადაუხდელობა სხვა დროსაც არ არის იშვიათობა, რაც სკოლებს ფინანსური პრობლემის წინაშე აყენებს, დირექტორთა ასოციაციის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ – „კერძო სკოლის უფლება-მოვალეობა მოსწავლის მიმართ“. სათაურიდანაც ჩანს, რომ მუხლი მოსწავლის უფლების დაცვასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული, ბუნებრივია, გათვალისწინებულია სასწავლო დანესებულების ინტერესიც. საქმე ისაა, რომ აქამდე კერძო სკოლებს, საფასურის გადაუხდელობის და დაგროვილი დავალიანების გამო, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა არ შეეძლოთ. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილება მათ ამის უფლებას მისცემს. თუმცა, სტატუსის შეწყვეტაზე გარკვეული ვალდებულება სკოლასაც ეკისრება, კერძოდ:

- ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში, კერძო სკოლა ვალდებულია, მოსწავლეს დაასრულებინოს მიმდინარე სასწავლო სემესტრი; წერილობით აცნობოს დავალიანების შესახებ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, განუსაზღვროს მას გონივრული ვადა ვალდებულების შესასრულებლად და განუმარტოს ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგები;
- კერძო სკოლა ვალდებულია, მოსწავლისათვის მოსწავლის

სტატუსის შეწყვეტის შესახებ, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა, წერილობით აცნობოს განათლების სამინისტროს და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებს ამ გადაწყვეტილების თაობაზე;

- სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, მოსწავლის პირადი საქმე და სხვა საქონი დოკუმენტაცია, მოთხოვნის მიღებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, გადასცეს მიმღებ სკოლას, ხოლო წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში), ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, დაუბრუნოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- კერძო სკოლა უფლებამოსილია, ფინანსური დავალიანების მქონე მოსწავლეს შეუწყვიტოს მოსწავლის სტატუსი მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ, მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, გონივრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის შეუფერხებელი მობიძობის უზრუნველსაყოფად.

როგორც ცვლილებების ავტორები აცხადებენ, კერძო სკოლები მშობლებს არ აძლევდნენ მოსწავლის პირად საქმეს და ამას დავალიანების „ამოღების“ ბერეკეტად იყენებდნენ, რაც, ბუნებრივია, ანტიკონსტიტუციურია, რადგან ზღუდავს ბავშვის უფლებას, მიიღოს განათლება.

მსგავსი ფაქტების არსებობას ადასტურებენ კერძო სკოლების წარმომადგენლები. „მნიგნობართუხუცესის“ დირექტორი დავით კახნიაშვილი ამბობს, რომ ეს ცვლილება ადრეც უნდა განხორციელებულიყო. „მქონია შემთხვევა, როცა არც გადაწყვიდა მშობელს ბავშვი და არც სწავლის საფასურს იხდიდა, გარიცხვის უფლება კი არ მქონდა. როცა ნავიდა, ორი წლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მისამართიც შეცვლილი ჰქონდა, იძულებული ვიყავი, გაცდენების გამო ამომერიცხა, თუმცა პირადი საქმე არასოდეს დამიკავებია. ახლა, როცა მშობლებიც გაიგებენ ჩვენი უფლებამოსილების შესახებ, იმედა, თადარიგს დროულად დაიჭერენ და საქმე აქამდე არ მივა. რაც შეეხება წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნებას, მე ისედაც ვუბრუნებდი, ეს პუნქტი ხელშეკრულებაშიც არ შემქონდა, სასწავლო დანესებულება ვართ, სხვაგვარად როგორ შეიძლება“.

ქართულ-გერმანული სკოლის დირექტორი ეკა ჩიქობავა ამბობს, რომ გაუგია ამგვარი ფაქტების შესახებ, მაგრამ მათთან აქამდე საქმე არასოდეს მისულა: „ვიცი, ბავშვები როგორ განიცდიან სკოლის გამოცვლას, კლასიკურად განშორებას, ამიტომ მშობლებთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ვავარებთ საკითხს. პანდემიის გამო ზოგმა მშობელმა სამსახური დაკარგა



და ფინანსური დავალიანება აქვს, მაგრამ ჩვენ შეთანხმებული ვართ ვალებზე და იმედა, ეს საკითხი პრობლემად არ იქცევა“.

დირექტორების ნაწილი, გამოცდილებიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ ეს ცვლილება ვერ იქნება ეფექტური საშუალება საკითხის მოგვარებისთვის თუნდაც იმიტომ, რომ აკანონებს სწავლის საფასურის სემესტრის ბოლომდე გადაუხდელობას და სტატუსის მხოლოდ ამის შემდეგ შეჩერებას.

„კანონში წერია, რომ გადაუხდელი თანხა ვალად რჩება და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაიფაროს, ხოლო როდის ან რა გრაფიკით წარიმართება ეს პროცესი, მშობელსა და კერძო სკოლას შორის ხელშეკრულების და სამართლებრივი მოლაპარაკების საკითხია. დიახ, ეს ნამდვილად ასეა, სხვაგვარად არც არასდროს ყოფილა. პრობლემა ისაა, რომ არც თუ იშვიათად მშობლები საცხოვრებელ ადგილს იცვლიან და სასამართლოსთვის მიმართვა კი იმას ნიშნავს, რომ განუსაზღვრელი ვადით ელოდო თანხის ამოღებას. ამიტომ, ვფიქრობ, ცვლილება თავისთავად კარგია, მაგრამ მისი შესრულების იმედი არ მაქვს. არ მგონია, რომ იგი ბერეკეტად გამოდგება კერძო სკოლებისთვის. შეუსრულებლობისთვის ისევ ჩვენ დავისჯებით უმკაცრესად, აბა სხვას რას ნიშნავს ჩანაწერი: „თუ ამ წესს სკოლა დაარღვევს და დოკუმენტაციის გაცემაზე უარს იტყვის, მიუხედავად იმისა, რა რაოდენობის დავალიანება აქვთ მოსწავლეებს, კერძო სკოლას ავტორიზაცია შეუჩერდება.“ – ასეთია „მჭყერის“ დირექტორის, თამაზ ნაცვლიშვილის პოზიცია.

კანონში ცვლილებებს ხელი უკვე მოახერხა საქართველოს პრეზიდენტმა და იგი ძალაში შევიდა. გამართლება თუ არა მხარდაჭერა ან სკეპტიკოსთა მოლოდინები, ამას დრო გვიჩვენებს.

გამოიკვეთა თუ არა ხარვეზები სკოლის მასწავლებლების დაქირავების პროცესში

ლალი ჯალაღაძე

როგორ განვსაზღვროთ რა არის განათლების სისტემაში კეთილსინდისიერება ან რა ფაქტორები განსაზღვრავს მის ინდექსს. ამის გასაგებად განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა, ცოტა ხნის წინ, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო პროექტში „კეთილსინდისიერება განათლების სისტემაში“, რომელიც ღია საზოგადოების ფონდის (განათლების მხარდაჭერის პროგრამა) მხარდაჭერით, გამოყენებითი პოლიტიკის ცენტრების (NEPC) განხორციელებულია ქვეყნის წევრი სამომავალად საზოგადოების ქრებინებისთვის თანამშრომლობით საქართველოდან, ყირგიზეთიდან, მოლდოვიდან და მონღოლეთიდან.

პროექტის ფარგლებში, სწორედ ამ ქვეყნების განათლების სისტემაში კეთილსინდისიერების ადგილობრივი შეფასებები განხორციელდა და მასზე დაყრდნობით მომზადდა შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც ბაზალური და ქვეყნის დონეზე ინტენსივობის კეთილსინდისიერების შეფასებების ძირითადი მიზნებია.

სინთეზურ ანგარიშში, ძირითადად, განხილულია საკვლევი კითხვასთან დაკავშირებული მიზნები, მაგალითად, ერთგვარად თუ არა საქართველოს, ყირგიზეთის, მოლდოვისა და მონღოლეთის სასკოლო განათლების მონაწილეები იმ პრაქტიკაში, რომელიც იწვევს განათლების სფეროში ადამიანური და ფინანსური რესურსების გლობალურ გამოყენებას და თუ კი, რა მიზნები და სისტემური სისუსტეები უწყობს ხელს ამგვარ ქცევას? კეთილსინდისიერების შეფასებები საქართველოსა და მოლდოვიან ფორმირებული იყო განათლების სფეროში ადამიანური რესურსების მართვაში, ხოლო ყირგიზეთისა და მონღოლეთში, შეფასებებისას, ბაზალური და ქვეყნის დონეზე წყაროებიდან ფულადი სახსრების გამოყენების კეთილსინდისიერებას.

საქართველოში კეთილსინდისიერების ადგილობრივი შეფასება განათლების

პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა (EPPM) განხორციელა, საკვლევ თემად განისაზღვრა „კეთილსინდისიერება სკოლის მასწავლებლების დაქირავების პროცესში“. აღნიშნული კვლევის მიზანი, განათლების სისტემაში მიმდინარე საერთაშორისო აქტივობების ფონზე, კორუფციული რისკების შეფასება და მათი აღმოფხვრის გზების დასახვა გახდა. საკვლევი თემა არჩევა კი პედაგოგთა პროფესიიდან განსვლის და ახალი კადრების დაქირავების ქვეყანაში მიმდინარე მასშტაბურ პროცესთან განაპირობა. ცხადია, სინთეზურად ამ პროცესზე დაკვირვება და მათი შეფასება.

რა ხარვეზები გამოიკვეთა სკოლის მასწავლებლების დაქირავების პროცესში და როგორია ამ მიმართულებით კეთილსინდისიერების ინდექსი ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში – ამ თემაზე საუბრობს განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი ბიორტი მარტინი.

მისივე განმარტებით, შეფასება განხორციელდა აღნიშნული საერთაშორისო აქტივობების პარალელურად და ფოკუსირებული იყო პედაგოგების დაქირავების პრაქტიკაში არსებული ხარვეზების, კორუფციული ფაქტორებისა და რისკების ინტენსივობის არსებობისა და პოლიტიკის რეკომენდაციების შემოწმებაზე. გამოყენებული იყო განათლების სისტემის კეთილსინდისიერების INTES-შეფასების მეთოდოლოგია და მონაცემთა შეგროვების მეთოდები, რომლის მიზანია დაეხმაროს ეროვნულ ხელისუფლებასა და დაინტერესებულ მხარეებს, განიხილო პოლიტიკასთან დაკავშირებული რა პირობები უწყობს ხელს განათლების სისტემაში კორუფციას და მხარი დაუჭიროს ვითარების გამოსწორებაში გზების შემოწმებას, კორუფციის პრევენციის მიზნით. აღნიშნული მეთოდოლოგია ეყრდნობა თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელისათვის შეიმუშავებული გამოყენებითი პოლიტიკისა და კეთილსინდისიერების ცენტრმა (CAPI).



– ბატონო გიორგი, რა სახის ხერხეზებია იდენტიფიცირებული კვლევის შედეგად?

– პედაგოგთა პროფესიაში შესვლისა და დაქირავების სისტემაში, 2019-2020 წლებში, განხორციელებულმა სარეგისტრაციო აქტივობებმა მასწავლებელთა უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის ვაკანსიები წარმოქმნა და, ამავდროულად, ხელი შეუწყო პედაგოგთა დაქირავების პროცესში კეთილსინდისიერების დარღვევის რისკების ზრდას.

პედაგოგთა დიდი ნაწილი, რომელმაც გაიარა შესარჩევი კონკურსი, მიუხედავად შედეგებისა (ვინც დასაქმდა ან ვერ დასაქმდა), სკოლებში ვაკანსიების გაჩენას პროგრესულ მოვლენად აღიქვამს და მიიჩნევს, რომ ამით ხელი შეეწყობს სისტემაში ახალი და კვალიფიციური კადრის დასაქმებას, სისტემის გაჯანსაღებასა და გაახალგაზრდავებას. თუმცა, უმრავლესობის აზრით, ამ გზაზე, ბევრი ხელშეშლელი და დამბარკოვებელი პრობლემა იქნეს თავს. მათ მიანიჭათ, რომ კეთილსინდისიერების დარღვევის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ფავორიტიზმი, ყველა თავისი ფორმით (ნებოჭიზმი, პატრონაჟი და ქრინიზმი), მასწავლებლების დაქირავების პროცესში ფართოდ გავრცელებული ფენომენია საქართველოში. მასწავლებელთა სისტემაში მასშტაბური გასვლის და მათ ადგილზე ახალი კადრების დაქირავების პროცესის დროს, განსაკუთრებული სიმწვავეთი ფავორიტიზმის პრობლემა იქნა თავი, რაც 2019 წლის შემოდგომიდან დაიწყო. რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ფავორიტიზმი არსებობს პედაგოგთა დაქირავების პროცესში.

კვლევით დაფიქსირდა სხვადასხვა ინტერესით (მათ შორის პოლიტიკური) მოტივირებული გარეგანი ზეგავლენის შემთხვევები სკოლის დირექტორების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებებზე. სკოლის დირექტორთა უმრავლესობას ურეკავდნენ განათლების ზემოდაბოლო ორგანოებიდან ან ქალაქისა და რაიონის სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად. აპლიკანტებში იყო განცდა იმისა, რომ პროცესის გარეშე ძნელი იქნებოდა სამსახურში მოწყობა. იყო შემთხვევები, როდესაც საგანმანათლებლო რესურსცენტრი პირდაპირ ავებობდა სკოლას კადრის დასაქმებას. მასწავლებელთა ნაწილს არ მიანიჭა ფავორიტიზმი კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დარღვევად, ისინი ლიდავდნენ ადგილის დასაქმების პროცესში მათ მიმართ კეთილსინდისიერების ნორმების დარღვევით განხორციელებულ მართვას. მეტიც, შემდეგ, სამსახურში პროტექციით მოწყობილი ადამიანები არ ერიდებოდნენ პროტექტორებისთვის მადლობის საჯაროდ, სოციალური მედიით გადახდას.

ზოგიერთ რაიონში გასაუბრებები, სკოლების მაგივრად, საგანმანათლებლო რესურსცენტრებში ჩატარდა, რასაც ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები პროცესის უკეთესი ორგანიზების მცდელობით ხსნიდნენ, თუმცა ამან ბევრგან გამოიწვია ქაოსი, რიგები და სხვა პროცედურული დარღვევები. რიგ შემთხვევებში, საგანმანათლებლო რესურსცენტრების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლები ჩართული იყვნენ გასაუბრების კომისიის მუშაობაში, როგორც დამკვირვებლები. დამკვირვებელთა ფუნქცია-მოვალეობები არც ერთი დოკუმენტით არ ყოფილა დადგენილი და, პროცესზე დაკვირვებასთან ერთად, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული შესარჩევი კომისიების მუშაობაშიც. ხშირი იყო გასაუბრებების ფორმალურად ჩატარების შემთხვევები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რესპონდენტი საკონკურსო გასაუბრების პროცესს დადებითად ახასიათებს და

აღნიშნავს, რომ გასაუბრება შინაარსობრივად გამართულად და ყველა წესის დაცვით წარიმართა.

იყო შემთხვევები, როდესაც გასაუბრება აშკარად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მაგალითად, გრძელდებოდა მხოლოდ ორი-სამი წუთი ან, რაც კიდევ უფრო დაუშვებელია, იყო ჯგუფური გასაუბრებებიც. ეს ფაქტები მონაწილეებს უქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ ვაკანსიაზე კანდიდატი წინასწარ იყო შერჩეული. რამდენიმე რესპონდენტმა, გამოცხადებულ ვაკანსიაზე კანდიდატის აყვანის სანაცვლოდ, ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის სავარაუდო ფაქტების არსებობის შესახებაც ისაუბრა. კვლევის ხასიათიდან გამომდინარე, ვერ დადგინდა ამ ფაქტების მასშტაბურობა, თუმცა რესპონდენტების მხრიდან ანალოგიური ფაქტების დასახელება გვაფიქრებინებს სისტემაში აღნიშნული ფენომენის სავარაუდო არსებობას.

– თქვენ საუბრობთ მასწავლებელთა დაქირავების პროცესში საკმაოდ მაღალ კორუფციულ რისკებზე, საინტერესოა, რა არის გამომწვევი მიზეზები?

– რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, კეთილსინდისიერების დარღვევის ხელშეწყობ ფაქტორებსა და გარემოებებს შორის უმნიშვნელოვანესია განათლების პოლიტიკის არასწორი დაგეგმვა და განხორციელება. ამ ვითარებას დაემატა დაქირავებული რეჟიმში განხორციელებული ცვლილებები და თანმიმდევრული მონიტორინგის არჩატარება. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დაქირავების პროცესი არ იყო ღია და გამჭვირვალე. დაინტერესებული მხარეები მხოლოდ ლიმიტირებულ ინფორმაციას ფლობდნენ მასწავლებლის პროფესიაში შესვლის პროცესებისა და პროცედურების შესახებ.

სისტემაში არ არსებობს მონიტორინგის გამართული მექანიზმი, რომელიც შეაფასებდა, აკმაყოფილებენ თუ არა შერჩეული კანდიდატები საქართველოს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და არის თუ არა გამჭვირვალე პედაგოგთა დაქირავების პროცესი. გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები არ აგროვებენ და არ აანალიზებენ ასეთი სახის ინფორმაციას.

ახალი და გამარტივებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემოღების შედეგად, კიდევ უფრო გაიზარდა კორუფციული რისკები. სისტემაში გაჩნდა ახალი შესაძლებლობები ფავორიტიზმისა და კორუფციული სქემების განვითარებისათვის. „მასწავლებლის საქმიანობის დანებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/6 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, 2023 წლის ბოლომდე, პრაქტიკოს მასწავლებელად მუშაობის დანების უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს (ნებისმიერი დარგის ბაკალავრი). აღნიშნული ცვლილება ბევრად უფრო ამარტივებს მასწავლებლობის კანდიდატისადმი მანამდე წაყენებულ მოთხოვნებს, ვინაიდან ამ ცვლილებამდე მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად, პირს პროფესიული სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების გარდა, დასრულებული უნდა ჰქონოდა რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. ზემოხსენებული მოთხოვნა კი, ფაქტობრივად, საგნის კომპეტენციის, პედაგოგიური განათლებისა და მასწავლებლობის გამოცდილების არმქონე ადამიანს საშუალებას აძლევს, ორი წლის განმავლობაში, იმუშაოს სკოლაში. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ აღნიშნული მოთხოვნის თანახმად, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ნაცვლად, მსურველს შეუძლია გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური კურსი, რომლის დაძლევის შედეგად, მასწავლებლობის უფლება ენიჭება. კვლევამ აჩვენა,

რომ ახალი და გამარტივებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ უზრუნველყოფს შესაბამისი კადრის არჩევას. ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს კლასში არაკვალიფიციური (მასწავლებლობის კვალიფიკაციის არმქონე) და გამოუცდელი კადრის მომზადების გარეშე შემცირებას. ასეთი ვითარება პირდაპირპროპორციულად აისახება ფავორიტიზმის შემთხვევების ზრდაზე, რადგან საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებებს, დაასაქმონ მათთვის სასურველი პირები მასწავლებელთა დეფიციტისა და შესუსტებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომიზეზებით.

პროცესისათვის განსაზღვრული იყო ძალიან მჭიდრო ვადები, რამაც დამატებითი სირთულეები შექმნა შესაბამისი კანდიდატების შერჩევისთვის. რადგან შესარჩევი კონკურსები ძალიან დაჩქარებულად ჩატარდა, რიგ შემთხვევებში, სამსახურში აყვანის არა საუკეთესო, არამედ იმ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი კადრი.

პედაგოგიური კონტინენტის ჩანაცვლების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება არ იყო მონაწილეობითი პროცესი. დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპებზე, თვალსაჩინო იყო გამჭვირვალობისა და ჩართულობის ნაკლებობა. არც შესაბამისი გადაწყვეტილება და არც თანმიმდევრული საკანონმდებლო ცვლილებები არ განხილულა სკოლის დირექტორებთან, პედაგოგებთან, განათლების ექსპერტებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. არ მომხდარა, ორგანიზაციების მხრიდან, პროცესის სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმირება.

– რა სახის რეკომენდაციებს სთავაზობს კვლევა განათლების სისტემის მსგავსი ხარვეზების თავიდან ასაცილებლად და რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც პედაგოგთა დაქირავების პოლიტიკის ცვლილებისას უნდა მიეცეს ყურადღება?

– პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებების წინ უნდა უძღოდეს თანმიმდევრული დაგეგმვის ეტაპი. გადაწყვეტილებების მიღებამდე უნდა მოხდეს პოტენციური რისკებისა და სასურველი შედეგების იდენტიფიცირება; არსებული მონაცემების ანალიზი და ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა (რეფორმის განხორციელების პერიოდის განსაზღვრა, დანერგვის პოტენციური რისკებისა და გამოწვევების ანალიზი, სასურველი შედეგებისა და მათი განხორციელების კრიტერიუმების იდენტიფიცირება, პროცესის შეფასების მეთოდების დასახვა და სხვა).



მასწავლებელთა კითხვაში

ახალი სკოლის მოდელი



„ახალმა პანთელამ“ შეკრიბა ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები, რომელსაც პასუხს სცემს პროფესორი სანსაველო გეგმის ქვეყნის ხელმძღვანელი

„ახალი სკოლის მოდელი“ – ზუსტი განმარტება ამ სახელწოდების

„ახალი სკოლის მოდელიდან“ ყველაზე დამაბნეველი პირველი სიტყვა აღმოჩნდა. „ახალი“ არ გულისხმობს ჯერ არ ნახულს, ჯერ არ გაგონილს, ჯერ არ გამოცდილებულს. ეს არის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტი. სახელის დარქმევა, მოგვსენებათ, იოლი არაა. რადგან სახელწოდება ოდნავ რომანტიზებულია, ამან არ უნდა გამოიწვიოს უკმაყოფილება. კონსტრუქტივიზმის პრინციპებით სწავლება, კურიკულუმის შექმნა და მსოფლიო პედაგოგიკის საუკეთესო პრაქტიკის თავმოყრა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის მართლა ახალია. ზოგადად, „ნდომა სიახლის“ ჯერ კიდევ რუსთველმა ახსენა „ვეფხისტყაოსანში“. აუცილებლობაა, შევთავაზოთ მოსწავლეებს სიახლეები, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკოლა დარჩება რუტინულ დაწესებულებად.

რა არის კომპლექსური დავალება?

კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი და შემოქმედებითი პროდუქტი. როცა მასწავლებელი მოსწავლეს ამ პროდუქტის შექმნას სთავაზობს, ბავშვისთვის ის არის შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ოსტატურადაა ჩაშენებული შემოქმედებით მხარე. ყველა შემოქმედებითი პროდუქტი ვერ ჩაითვლება კომპლექსურ დავალებად. მისთვის აუცილებელი ნიშანია შემოქმედებითობა. საკითხს თუ კომპლექსურად არ ეხება დავალება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევა გართულდება.

კომპლექსური დავალებების რაოდენობა რამდენად უნდა იყოს?

კომპლექსური დავალებების რაოდენობაზე მეტ მსმენია მასწავლებლების პრეტენზია. მასწავლებელი ასეთი ტიპის დავალებებს სტიქიურად არ სთავაზობს მოსწავლეს. საფეხურის განმავლობაში მისალწველი შედეგებისათვის, შესაძლოა, რამდენიმე ათეული დავალება იყოს შესაქმნელი, მაგრამ არა ყოველდღიურად. ვიდრე მოსწავლეები დავალების შექმნას დაიწყებენ, გვაქვს დავალების შექმნაზე განსახორციელებელი აქტივობები, ნაბიჯები, ეტაპები. როცა კლასს მივიყვანთ იმ კონდიციამდე, რომ მზაობა გამოჩნდება პროდუქტის შესაქმნელად, ამის მერე შეგვაქვს დავალების პირობა კლასში.

დავალბავს აქლემზე ყველა საბანს მასწავლებლები...

დაიხ, ყველა მასწავლებელი აძლევს დავალებას მოსწავლეს. გვახსოვს ალბათ ის დრო, როცა ყოველდღე გვეჩვენა ქართულში, მათემატიკასა და სხვა საგნებშიც დავალებები. ახლა დავალებათა მიცემის ინტენსივობა იკლებს, მაგრამ იმატებს დავალების მოცულობა, შრომატევადობა და ეფექტიანობა.

მასწავლებლები უფრო უნდა იყვნენ მასწავლებლები და მასწავლებლები...

არის დავალებათა რიგი, როცა გასიტყვება-პრეზენტაცია ბევრ დროს ნაიღებს, მაგრამ ეს დახარჯული დრო ეფექტიანი უნდა იყოს. სჯობს, ნელ-ნელა, სტრატეგიულად მივიდეთ საფეხურის ბოლოს შედეგებამდე, ვიდრე ვიჭქოთოთ და ბოლოს ხელთ არაფერი დავტოვოთ. ზოგჯერ, როცა გვინდა, რომ ეფექტურად დავხარჯოთ დრო, გაიზარდოს თანამშრომლობითი სწავლა, შესაძლოა, ინდივიდუალური დავალებების შექმნა ვთხოვოთ მოსწავლეებს და ამით საპრეზენტაციო დროის ეკონომიას მივიღებთ, ასევე – ურთიერთსწავლება გააუმჯობესებს საკომუნიკაციო და კოგნიტიურ უნარებს, რადგან მოსწავლეები ოპერირებენ ერთმანეთისთვის გასაგები „ენით“ და ეფექტიც მეტი აქვს. პროექტული სწავლების სიკეთეებსა და საფრთხეებს ყველამ ვიცით, ამიტომ საჭიროა მეტი სიფრთხილე, რომ უკუშედეგი არ დაგვიდგეს. ზოგადად, როცა კლასი მრავალრიცხოვანია, სოციალური უნარების განსავითარებლად საუცხოო ნიადაგი გვაქვს. ამან არ უნდა შეგვაშინოს, პირიქით, ბევრი ბავშვის „გათანამშრომლება“ და მიზნებისკენ სვლა უფრო საინტერესო და ეფექტიანი ხდება.

აბგოპან, რომ განხორციელდება პლაგიატი...

დაიხ, ზოგჯერ მოსწავლეების განვითარების უახლოესი ზონა გვაინტერესებს და „მიძიდვას“ ტვირთად ქცევით ბავშვებს დავალება. თუ მოსწავლეს პლაგიატი მოაქვს, ჩავთვალთ, რომ ეს არის დემოტივირებისა და რთული დავალების მიცემის შედეგი. კომპლექსური დავალების შექმნის ყველა ნიშანში უნდა შევქმნათ ჯერ, მერე კი ისე უნდა ჩამოყალიბდეს მისი პირობა, რომ ბავშვს მოუწოდებს მისი შესრულება და არ ჩართოს მთელი სახელობლო მის შესრულებაში.

საიდან უნდა დავასაქვანოთ, რომ მოსწავლე კომპლექსური დავალების შესაძენად მზად იყოს?

როცა დავალების პირობას ვქმნით, დავფიქრდეთ და „შევაბრუნოთ“ ცოტა ხნით ამაღლა. დავალების პირობა ნავიკითხვით მოსწავლის პოზიციით და თუ გერთულათ, ან მიზანი ვერ დაინახეთ ნათლად, ან სხვა ნაკლი დაეტყო, პირობა უნდა შეიცვალოს!

განმავითარებელი კომენტარის სირთულე...

განმავითარებელი კომენტარი მართლა რთულია, მაგრამ საოცრად ეფექტური. 21-ე საუკუნის მოსწავლეს ვერ მოხიბლავს „სმაილებით“, ნიშნებით. მოსწავლეებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა და აღიარება. ამას მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით შევძლებთ. სასწავლო პროცესი მის გარეშე წარმოვადგინებთ. გამიგია, რომ მასწავლებლები შფოთავენ იმაზე, რომ ამდენ კომენტარს ვერ დანერგენ. ინტენსივობა კომენტარების წერისა მინიმალურ ოდენობამდე მოხდება, მაგრამ ჩვენ უარს ვერ ვიტყვით მიმდინარე განმავითარე-

ბელ შეფასებაზე, რომელიც უმეტესად სიტყვიერი უკუკავშირით უნდა გამოვხატოთ.

ყველაზე მარტივი ფორმულა, რომლითაც განმავითარებელ მომსახურებს მიაწვდით მოსწავლეს

ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე ვიტყვი: დავალების წარდგენის დროს მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ მასწავლებელი აქტიური მსმენელია, გამოხატავს ემოციებსა და შესტებს პოზიტიურად, სხეულის ენით მიანიშნებს დეტალებზე, დროდადრო სიტყვიერ კომენტარს აწვდის. როცა მოსწავლე დაასრულებს პრეზენტაციას, ვეუბნები, რა იყო დავალებაში კარგი, რა არის გამოსასწორებელი და რით. გამოსასწორებლის მისამართით განუთქმნა რეკომენდაცია უნდა იყოს თანამშრომლობითი და ასერტული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ ცუდ შედეგს. განმავითარებელი კომენტარის ფუნქციაა შეცდომის სტატუსის ხავერდოვნად შეცვლა.

ეს სავარაუდოებელი რამდენად უნდა მოხდეს?

დავინწყით იმით, რომ მოსწავლესთან უნდა გავაფორმოთ დაუნერვლი კონტრაქტი, ასეთი შინაარსით: პრობლემის აღმოსაფხვრელად მივუღებ შენ გვერდით, დაგეხმარები, ყველაფერს მოვაგვარებთ ერთად, შენი წარმატება ჩემი წარმატებაა და ამიტომ ვიქნები შენი მხარდამჭერი. არასდროს ვუთხრათ მოსწავლეს ის, რისი მოსმენაც ჩვენი მისამართით იქნება დამთრგუნველი. ესაა უკვე კლასში ჰარმონიისა და ბედნიერების საფუძველი. ჰუმანისტური პედაგოგიკა უპირატესად არ თვლის ნიშნებს, გამოცდებს. ჰუმანისტები ამბობენ, რომ მოსწავლეს უნდა აბედნიერებდეს სასწავლო პროცესი.

სასწავლო პროცესი ბევრ მასწავლებელს „მატრიცების“ გარეშეც მიჰყავდა საინტერესო

დაიხ, ეს ასეა. მატრიცები, უბრალოდ, მასწავლებელს არ აკარგვიანებს გრძელვადიანი მიზნებს, გამოკვების დეკლარატიულ, პროცედურულ და პირობისეულ ცოდნას, არ მიჯნავს მათ, ახამებს ერთმანეთთან და ქმნის ბედნიერ სასწავლო პრაქტიკას. სტიქიურად ან კიდევ სახელმძღვანელოს გვერდების თანმიმდევრობის მიხედვით სწავლებას თავი უნდა დავანებოთ. ავიღო ყველა ეფექტიანი რესურსი, სტრატეგია, მეთოდი მიზნის მისაღწევად. მასწავლებელს სულ შეუძლია საინტერესო პროცესის გამართვა კლასში, მაგრამ ეს პროცესი იქნება თუ არა შედეგიანი, ესაა გადამწყვეტი. ბავშვებს უყვართ ინტერვიუ ჩანერა, მაგრამ ამ ტიპის დავალებას ასჯერ ვერ მივცემთ ან თუნდაც მონაცემების შეგროვებას, მაინცდამაინც საკუთარი სახლიდან, ესეც რუტინამდე მიგვყავს მიზნებს ბავშვებს.

მოკლევადიანი მიზნებზე უარი უნდა ვითქვათ?

არავითარ შემთხვევაში. კონსტრუქტივიზმი გვეუბნება, რომ ან წინაურ ცოდნაზე უნდა დავაშენოთ ახალი, ან მოსწავლის გამოცდილებაზე. თუ გამოცდილებას დავყრდნობთ, მაშინ დავალების მიცემა უფრო სწრაფად ხერხდება. წინაურ ცოდნის გააქტიურება, ეტაპობრივად ელემენტების დამატება-შესწავლა აუცილებლად უნდა განვიხილოთ მოკლევადიანი მიზნებზე, რომლებსაც საშუალოვადიანში (ანუ კომპლექსურ დავალებაში) გამოვიყენებთ და საბოლოოდ, კომპლექსური დავალება მიგვაცილებს გრძელვადიან მიზნამდე, ანუ ცნებამდე.

ვინ დაიცავს „ახალი სკოლის მოდელს“ 2024 წლის მიერ, როცა სკოლაში აღარ მოხდება მასწავლებლის მიერ მხარდაჭერა?

გადაჭრით ვამბობ, რომ მოსწავლეები დაიცვენ მას. როცა მოსწავლეთ კონსტრუქტივიზმის ცენტრალური ფიგურაა, ამ ფიგურანტობას ის იოლად არ დათმობს.

და მაინც, რატომ აშინებთ ნებას იმ „ახალი სკოლის მოდელის“ მისამართით?

არ დავაგინყდეს, რამდენჯერ დავინყეთ და არ დავასრულებ რეფორმირება. დავინყებთ და მივატოვებდით. ეს უკვე სექსპტიციზმის დვინტაა. აქვთ საფუძველი მასწავლებლებს და არიან სექსპტიურები. ცოტაოდენი „დამსახურება“ ამ ნებას იმისთვის არის აშკარა ტენდენციურობით თუ სუბიექტურობით გამოხატული, სოციალურ სივრცეში დაწერილი, უსაფუძვლო კრიტიკაც. ეს მოგვარდება. მთავარია, ბავშვები არიან კლასში ბედნიერები.

სად სჯობს მოსწავლისთვის დავალების შექმნა?

დავალბავ შეიძლება შესრულდეს სკოლაში, სახლში ან ორივეგან. ჩვენ არ ვაკონტროლებთ, სად იქმნება ღირებული პროდუქტი. მნიშვნელოვანია საკუთრივ დავალების საგან-მანათლებლო ღირებულება და არა მისი შექმნის ადგილი.

დოკუმენტურად ან ფაქტობრივად, შემოქმედებით განმავითარებელი „ახალი სკოლის მოდელი“ ეფექტიანობა?

ჩემთვის ყველაზე კარგი დოკუმენტი არის ბედნიერი ბავშვის ემოცია. განათლებაში შედეგები მოკლე დროში ვერ დაიკვება. თავს ნუ მოვიტყუებთ. ბედნიერი ბავშვი სწავლობს უკეთ და უკეთესი მოქალაქეც ხდება. გალინოხუცია და წარმატებული ბავშვების სახეები ასეულობით მიწინასწარ ამ პროექტის ფარგლებში და ესაა ჩემთვის წარმატების დეკლარირება.

ასმ-ს არ აქვს ხარვეზები?

უხარვეზო და უნაკლო არაფერია. გვაქვს რიგი პრობლემებისა, რომელსაც ექსპერტი და მასწავლებელი ერთად წყვეტს. კოლეგიალობასა და კვალიფიციურობას ვერც ერთი წინააღმდეგ ვერ შეაფერხებს. ხარვეზებზე კოლეგები ხშირად ვსაუბრობთ და ვცდილობთ მის აღმოფხვრას უმტკივნეულო გზების მოძებნით.

პედაგოგთა დაქირავების პოლიტიკაში ცვლილებების დაგეგმვა და წარმართვა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაგეგმვის ეტაპებზე ზუსტი გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან ეს მხარეები სრულად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, აქვთ საჭირო გამოცდილება და ინფორმაცია ყველა იმ დეტალზე, რომელიც შესაძლოა გამოჩნდეს მალაჩინოსნებს. ამიტომ, მათი განსხვავებული ხედვის გათვალისწინება პროდუქტიული იქნება პოლიტიკის ცვლილებების დასაგეგმად. ამასთან, დაგეგმვის ეტაპზე მათი აქტიური ჩართულობა საგრძნობლად გაამარტივებს ცვლილებების დანერგვის პროცესს, რადგანაც ისინი სრულყოფილად იქნებიან ინფორმირებული ცვლილებების შესახებ, ნაკლები კითხვები გაუჩნდებათ განხორციელების გზებთან დაკავშირებით და უკეთესად იქნებიან მომზადებული რეფორმების განსახორციელებლად. ამასთან, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გარეშე, პოლიტიკის ცვლილებების შედეგების შეფასება არ იქნება ვალიდური, სანდო და/ან გამჭვირვალე. პედაგოგთა დაქირავების პოლიტიკის ცვლილებების დაგეგმვისას საჭიროა სხვადასხვა დაინტერესებული მხარისათვის საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი პედაგოგისა და მალაჩინოსნისთვის ფავორიტიზმი საერთოდ არ წარმოადგენს კეთილსინდისიერების ნორმის დარღვევას, აუცილებელია ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვა კეთილსინდისიერების დარღვევის არსის, ფორმების, ნეგატიური ეფექტებისა და შედეგების საზოგადოებისათვის უკეთ გასაცნობად.

თუ არ მოხდება სამსახურში აყვანის მასშტაბური პროცესის გაანალიზება, ესეც შეუწყობს ხელს ფავორიტიზმის კიდევ უფრო განვრცობას, რადგან კადრის ამა თუ იმ პოზიციაზე აყვანის შემდეგ არ მონდდება, აკმაყოფილებს თუ არა იგი კონკრეტული პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვლევის განხორციელებისას ვერ მოხერხდა ინფორმაციის მოპოვება ზუსტად რა რაოდენობის პედაგოგები დაქირავდნენ, რა რაოდენობის ვაკანსიები შეივსო, შეესაბამებოდა თუ არა დაქირავებული პედაგოგების კვალიფიკაცია კონკურსით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ა.შ. რესპონდენტთა სხვადასხვა ჯგუფი განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდიდა. ამასთან, სამინისტროს სხვადასხვა წარმომადგენელი სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას ასაჯაროებდა, პირისპირ ინტერვიუებისა და საჯარო გამოსვლების დროს.

მასწავლებლების დაქირავებისათვის აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მინიმიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს ორი სახის ნეგატიური ეფექტი: სკოლებში არაკვალიფიკური კადრის მასობრივი დასაქმება და მასწავლებელთა სამსახურში აყვანის პროცესში ფავორიტიზმის შემთხვევების მკვეთრი ზრდა. ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება მხოლოდ ადეკვატური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დანერგვითაა შესაძლებელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი მასწავლებლებისთვის დარგობრივი საკვალიფიკაციო მოთხოვნა, ასევე მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს. ალტერნატივად შეიძლება განისაზღვროს მასწავლებლის მომზადების დისტანციური პროგრამის დანერგვა, მაგრამ აუცილებელია ამ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა.

იმის მიუხედავად, რომ სკოლის დირექტორებს კანონით აქვთ მინიჭებული უფლება, სამსახურში აიყვანონ და ასევე სამსახურიდან გაათავისუფლონ მასწავლებელი, კვლევა ცხადყოფს, რომ ისინი იშვიათად იყენებენ ამ უფლებას. მიზეზად შეიძლება დასახელდეს რთული იურიდიული პროცედურები და სამინისტროს მიერ დანერგული რიგი შეზღუდვები. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განსაზღვრეს შესაბამის ვებგვერდზე ვაკანსიების განთავსების ვადები. ამ ფაქტმა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა სკოლები, რადგან პედაგოგთა დაქირავების ცენტრალიზებული წარმართული პროცესი არ იყო მორგებული თითოეული სკოლის საჭიროებას და ვადები იყო ძალიან შეშუდილი. შესაბამისად, სკოლის ხელმძღვანელობას უნდა მიეცეს საშუალება, სრულად გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლება დაიკისრებული მოვალეობების სათანადო აღსრულებისთვის და მაშინ გამოაცხადოს ვაკანსია, როცა ამის საჭიროება ექნება.

დაბოლოს, სკოლების შეფასებისა და მნიშვნელოვანი როლი აქვს თუ არა პედაგოგთა კვალიფიკაციის ხარისხს?

რასაკვირველია, სკოლების შეფასება, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, აუცილებლად უნდა განხორციელდეს პედაგოგების კვალიფიკაციის, მათი საქმიანობის შეფასების და ასევე, მოსწავლეთა მოსწრების გათვალისწინებით. სკოლის შედეგებზე დამყარებული შეფასება აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სწავლების პროცესის ხარისხის, მოსწავლეების მოსწრების, პედაგოგთა პროფესიული განვითარების შეფასებას. ამ შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობა იძულებული იქნება, ხოლო სასკოლო თემს გაუჩნდება დამატებითი მოტივაცია, იზრუნოს მაღალი სასკოლო შედეგების მიღწევასა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. სკოლის დირექტორებს ნაკლებად ექნებათ სურვილი, სამსახურში აიყვანონ ნაკლებად კვალიფიციური კადრი ან გახდნენ კეთილსინდისიერების დარღვევის მონაწილეები, ხოლო სასკოლო თემს გაუჩნდება დამატებითი ბერკეტი შიდა კონტროლის სათანადოდ განსახორციელებლად. საბოლოო ჯამში, სკოლების შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების დახვეწა დიდად შეუწყობს ხელს კეთილსინდისიერების კლიმატის გაჯანსაღებას და ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის ფაქტების მკვეთრ შემცირებას.

გამოსდილა

სადამრიგებლო საათი ონლაინ პლატფორმის პირობებში

ონლაინ პლატფორმით სწავლების პროცესში აქტიურად იყვანენ ჩართული მყოფლებიც, განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვებენ სადასრულებელ საათთან. ამიტომაც გადაწყვიტეთ, გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება, რომელიც სხვადასხვა კლასში (IV, V, IX, X) განხორციელებულ სადასრულებლო საათს ეხება. ისინი გავაერთიანებ ერთი მიზნის მიხედვით. ესაა ადამიანთა შორის კეთილშობილური ურთიერთობის, ერთმანეთზე ზრუნვის გარემოს შექმნა მონაწილე პლატფორმის პირობებში.

მოგახსენებთ, რომ მოსწავლეები ყურადღებას აქცევენ ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას, შინაგან პუნაბას, ხასიათს, სიკეთეს, კომუნიკაციას, ძველებს. უყვართ, იწონებენ, კამათობენ, ჩხუბობენ და რიგგარეშად, ცდილობენ და შეცდომებს ასწავლებენ. ეზრუნებიან ღონისძიებებისთვის, სიყვარულით ასრულებენ სხვადასხვა როლს. მშვენიერად ახერხებენ ერთად ყოფნის სწავლას.

ონლაინ პლატფორმით სწავლება დაპირებებისას, შევნიშნე, რომ ნელ-ნელა უცხოვდებოდნენ ურთიერთობა, სწავლობენ გეგმითად, ციფრულ ტექნოლოგიებსაც დაეუფლენ, მაგრამ რაღაც გაქრება, დროის სიმცირისა და ჩაქაჩილობის გამო, თითქმის გავშვრი სილაღე იკარგებოდა. განვიზრახე, ეს სიტუაცია სადასრულებლო საათით შევქმნო. შევქმენი სცენარი, აზრი კოლეგებს გავუზიარე, მივიღე უკუპასუხი, ცვლილება შევიტანე სცენარში და შეთავაზება მივიღე – თავდაპირველად V კლასში ჩამატარებინა, სადაც ჩემი შვილიც სწავლობს.

გთავაზობთ სადასრულებლო საათის სცენარს

თემა: „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“
მიზანი: ბავშვებმა გააცნობიერონ, რომ ონლაინ პლატფორმითაც შეიძლება სიყვარულის გამოხატვა.
ნამყვანობა დაველო ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელმაც სტუმრად მეოთხეკლასელები მოინვიდა. მან დანერგა მოსწავლე ბარათი შემდეგი ტექსტით: „ძვირფასო თანაკლასელებო, მეხუთე კლასში, ონლაინ რეჟიმში, ტარდება სადასრულებლო საათი: „ვაჩუქოთ ერთმანეთს სიყვარული“. გთხოვთ, დახატოთ ნახატი, ან მოამზადოთ ლექსი, ან სიმღერა, რომელსაც აჩუქებდით თქვენ მიერ არჩეულ მოსწავლეს. თქვენი ნაჩუქარი ნახატი, ნაკითხული ლექსი ან სიმღერა ძალიან გაგვახარებს“ და დაუგზავნა მეოთხე კლასის მოსწავლეებს ონლაინ ჯგუფში.

გაკვეთილის მსვლელობა: მეხუთე და მეოთხეკლასელები თავს მოიყრიან ერთ ონლაინ ჯგუფში.

აქტივობა 1.

ნამყვანი: მეხუთე კლასის სახელით, მოგესალმებით და მადლობას გიხდით, რომ შემოგვიერთდით. გთხოვთ, ვისაც ნახატი გაქვთ დახატული, წარმოადგინეთ, რა დახატეთ და ვის აჩუქებდით.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნახატები და ერთ-ერთ მოსწავლეს აჩუქეს.

ნამყვანი: მადლობა საინტერესო ნახატებისთვის. ახლა კი, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ რა ლექსი მოამზადეთ და ვის აჩუქებდით დიდი სიყვარულით.

მოსწავლეებმა წაკითხეს ლექსები და აჩუქეს სხვა მოსწავლეს.

ნამყვანი: საინტერესო ლექსის მხატვრულად წარმოთქმისთვის დიდ მადლობას მოგახსენებთ.

ახლა კი გთხოვთ, სიმღერით გაგვილაშქროს სადასრულებლო საათი იმ მოსწავლემ, რომელმაც სიმღერა მოამზადა და გაგვანდოს ვის აჩუქებს და რატომ?

აქტივობა 2.

ნამყვანი: ძალიან საინტერესო ნახატები, ლექსები და სიმღერები იყო, მადლობა თქვენ ასეთი სითბოსა და სიყვარულის გამოხატვისთვის. მეხუთეკლასელებმაც მოვამზადეთ საჩუქ-

რები – ლექსები, ნახატები, სიმღერები და გადმოგცემთ დიდი სიყვარულით.

საჩუქრები მეოთხეკლასელებს გადასცეს. ამ სადამრიგებლო საათმა ასწავლა მოსწავლეებს, რომ ონლაინ პლატფორმით წარმოდგენილი ლექსებით, სიმღერებითა თუ ნახატებითც შეუძლიათ ერთმანეთს გაუკეთონ საჩუქრები.

კოლეგების, მოსწავლეებისა და მშობლების მხარდაჭერით, ჩავატარე ონლაინ სადამრიგებლო საათი ჩემს სადამრიგებლო (მე-9) კლასში, თემა – „მოსწავლეების საქმე-ავადმყოფის მოკითხვა“, შექმნილ ვითარებაში, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

შემოგთავაზებთ სადასრულებლო საათის სცენარს

თემა: „მოსწავლეების საქმე-ავადმყოფის მოკითხვა“
მიზანი: ბავშვებმა შეისწავლონ როგორც სულიერი, ისე ხორციელი მოსწავლეების საქმე და გააცნობიერონ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფის მოკითხვას.

აქტივობა 1.

მოსწავლეები ესალმება ბავშვებს. ესაუბრება მოსწავლეების საქმეებზე და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ხორციელი მოსწავლეების ერთ-ერთ სახეზე – ავადმყოფის მოკითხვაზე. მოსწავლეებს უსვამს შეკითხვას: თქვენი აზრით, რატომ ავირჩიე კლასის საათისთვის ეს თემა – ავადმყოფის მოკითხვა? მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.

მოსწავლეები: თქვენი პასუხები ძალიან საინტერესო იყო.

აქტივობა 2.

მოსწავლეები: რა ფორმით შეიძლება ავადმყოფზე ზრუნვა?

მოსწავლეები მსჯელობენ და ასახელებენ ყველა იმ ფორმას, რითაც შეიძლება ვიზრუნოთ ავადმყოფზე (მონახულება, ტელეფონით მოკითხვა, მესიჯის გაგზავნა, რაიმე მომსახურების შეთავაზება).

მოსწავლეები: მადლობას გიხდით საინტერესო მოსაზრებებისთვის.

აქტივობა 3.

მოსწავლეები ეკითხება მოსწავლეებს, რით შეუძლიათ ახლებში ავადმყოფს.

მოსწავლეები გამოსხატავენ საკუთარ მოსაზრებებს.
მოსწავლეები: თქვენი მოსაზრებები ძალიან საინტერესო იყო. ავადმყოფები უნდა მოვიხსნაოთ, მოვიკითხოთ, ვიზრუნოთ მათზე.

აქტივობა 4.

მოსწავლეები: რას უსურვებთ ავადმყოფებს? შეგიძლიათ, აქედან მოიკითხოთ თქვენი ახლობლები, მეგობრები, ავადმყოფები.

მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ სურვილებს, რასაც ავადმყოფებს უსურვებდნენ, მოიკითხავენ ყველა იმ ახლობელ ადამიანს, ვინც ენატრებათ, ვინც ავადაა და ჯანმრთელობას უსურვებენ.

აქტივობა 5.

მოსწავლეები: ჩვენ განვიხილეთ მოსწავლეების საქმე – ავადმყოფის მოკითხვა. გარდა ამისა, რომელი მოსწავლეების საქმე გაგვიკეთებიათ?

მოსწავლეები ჩამოთვლიან ყველა იმ მოსწავლეების საქმეს, რომელიც გაუკეთებიათ, რითაც დახმარებიათ გაჭირვებულ ადამიანებს.

მოსწავლეები: მადლობას გიხდით საინტერესო პასუხებისთვის.

აქტივობა 6.

მოსწავლეები აჯამებს კლასის საათს და მოსწავლეებს ეკითხება, რა შესძინა მათ ამ კლასის საათმა, რას გაითვალისწინებენ პირად ცხოვრებაში და ა.შ.

მოსწავლეები საუბრობენ ყველა იმ საკითხზე, რომელსაც გაითვალისწინებენ და მიაქცევენ ყურადღებას ცხოვრებისეულ პრაქტიკაში.

მოსწავლეები: მადლობას გიხდით საინტერესო მოსაზრებებისთვის, მსჯელობისთვის, იმედს ვიტოვებ, რომ თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იქნება მოსწავლეების საქმის კეთება, რაც აამაღლებს ჩვენს სულიერებას.

ამ სადამრიგებლო საათით მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რომ ავადმყოფზე ზრუნვის გამოხატვა ონლაინ პლატფორმითაც შეიძლება.

გთავაზობთ მე-4 კლასში ჩატარებულ სადასრულებლო საათის სცენარს

თემა: „ჩემი ფანჯრიდან დანახული საქართველო“
მიზანი: მოსწავლეებმა თავად გადაიღონ სხვადასხვა ხედი საკუთარი ფანჯრებიდან. ვისაც სურვილი აქვს, დახატოს წარმოსახვით ან ნაიკითხოს რომელიმე ცნობილი ქართველი პოეტის ლექსი საქართველოზე, რითაც გადმოსცემენ სიყვარულს სამშობლოს მიმართ.

სადამრიგებლო საათის მსვლელობა: მოსწავლეები ესაუბრება მოსწავლეებს საქართველოზე, მის გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, წარსულსა და აწმყოზე. მოსწავლეებს უხსნის, რომ ჩვენი ქვეყნის სიყვარულის გამოხატვა ელექტრონული ტექნოლოგიებითაც შეიძლება.

აქტივობა 1.

მოსწავლეები: მიხარია, რომ გულმოდგინედ იმუშავეთ და თქვენს ნამუშევრებში ჩანს ქვეყნისადმი სიყვარული. გთხოვთ, გააკეთოთ პრეზენტაცია, რა გადაიღეთ, რატომ, რა განცდა გქონდათ პრეზენტაციის მომზადებისას.

მოსწავლეები ონლაინ აკეთებენ საკუთარი სურათების პრეზენტაციას, ხოლო მოსწავლეები თანმიმდევრულად აჩვენებენ ეკრანზე თითოეულ მათგანს.

მოსწავლეები: მადლობას გიხდით საინტერესო პრეზენტაციისთვის.

აქტივობა 2.

მოსწავლეები: გთხოვთ, ვისაც ლექსი აქვს მომზადებული, წარმოგვიდგინოს, დაახატოს ავტორი და გვიხარას, რატომ აირჩია ეს ლექსი?

მოსწავლეები ნაიკითხავენ სხვადასხვა პოეტების იმ ლექსებს, რომელიც ფანჯრიდან დანახულმა საქართველომ გაახსენათ.

აქტივობა 3.

მოსწავლეები: გთხოვთ, ვისაც ნახატი აქვს შესრულებული, წარმოგვიდგინოს და გვიხარას, რა დახატა და რატომ?

მოსწავლეები ონლაინ პლატფორმით აკეთებენ საკუთარი ფანჯრაზიანი შესრულებული ნახატების პრეზენტაციას.

მოსწავლეები: მადლობას გიხდით სრულყოფილი ჩართვისთვის, საინტერესო სურათებისთვის, სიმღერებისა და ნახატებისთვის. ძალიან საინტერესო იყო. ახლა ყველამ ერთად ვიმღეროთ „ეს სიმღერაა საქართველოსი“.

მოსწავლეებმა გადაიღეს საკუთარი სახლის ფანჯრებიდან დანახული ხედები, მათგან შეარჩიეს საუკეთესო ფოტოები და წარმოადგინეს. ზოგმა საკუთარი წარმოსახვით დახატული საქართველო შემოგვთავაზა, ზოგმა კი – სხვადასხვა პოეტების ლექსები საქართველოზე, რამაც კეთილგანწყობა შეუქმნა ბავშვებს.

სადამრიგებლო საათს, როგორც აღვნიშნეთ, ესწრებოდნენ მშობლები, ბებიებიც და ბაბუებიც. ერთ-ერთი მოსწავლის ბებოს ინიციატივით, შეიქმნა სადამრიგებლო საათის ციკლი „აჭარული სამზარეულო“. თავდაპირველად, ჩავატარეთ სადამრიგებლო საათი „აჭარული ბორანო“ – არამატერიალური კულტურის ძეგლი“. ვიდეორგოლის ჩვენების შემდეგ, მეათეკლასელის ბებია მთავის „საიდუმლო“ გაგვიჩვენა, რითაც კერძი უფრო გემრიელი გამოდის.

მომდევნო სადამრიგებლო საათში მოსწავლეების მომზადების პროგრამის სტრუქტურა, ნათია დევაძემ, გვამოგზაურა ბათუმის სახელმწიფო მუზეუმში, სადაც ხელნაწერთა გამოფენის ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ი. აბაშიძის მიერ, 1846 წელს, შედგენილი ხელნაწერი „აჭარული სამზარეულო“. რამდენიმე რეცეპტზეც ნაგვიკითხა და გვიჩვენა როგორ ამზადებს მისი შვილი, ბებიასთან ერთად, აჭარულ „აჩმა მაკარონს“. სადამრიგებლო საათის შემდეგ, ისაუბრეს სხვადასხვა სახის ხაჭაპურის რეცეპტების შესახებ.

შემდეგი სადამრიგებლო საათის თემა იყო „ლობიოს დამზადება“. აღმოჩნდა, რომ გვეყავდა ბებიები იმერეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან. თითოეულმა თავისი კუთხისთვის დამახასიათებელი კერძი მოამზადა ლობიოსგან; სვანი ოჯახის რძალმა გაგვაცნო როგორ ამზადებენ სვანეთში „კუბდარს“; ერთი მოსწავლის მამიდა, რომელიც რაჭაშია გათხოვილი, სტუმრად იყო ჩამოსული და გაგვაცნო როგორ მზადდება რაჭაში „ჩქერული“ და ლობიანი თონეში. ძალიან მხიარული და საინტერესო სადამრიგებლო საათი გამოვიდა, რადგან სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ტრადიციის მქონე ადამიანები მონაწილეობდნენ. ბავშვებიც უფრო დაინტერესდნენ ყოფითი საქმიანობით. თავისუფალი დრო, კომპიუტერის ნაცვლად, სამზარეულოში გაატარეს და ასე გააცოცხლეს უძველესი კერძები: სინორი (თაფლით, ნადულით, ნიგვზით, შაქრით), ბაქლავა ნიგვზით, შაქარლამა და სხვა.

დაგვეგმეთ ქსოვის შესწავლა და ნაქარების გამოფენა. თითოეულმა სადამრიგებლო საათმა ნათლად დაგვანახა, როგორ ენატრებათ ბავშვებს ერთმანეთი, როგორ შეუძლიათ გამოხატონ კეთილგანწყობა, სიყვარული, როგორ სურთ თავიანთი შესაძლებლობების გამოუმუშავება. როგორ უყვართ თავიანთი კუთხე, ქვეყანა.


ონლაინ სადამრიგებლო საათს მშობლებიც ესწრებოდნენ, მათ სხვა თვალთ დაინახეს საკუთარი შვილები, ნახეს, როგორ შესძლებიათ ერთმანეთზე ზრუნვის, ყურადღებისა და სიყვარულის გამოხატვა. შეიქმნა მშვიდი, კეთილგანწყობილი გარემო, რომელიც „განათლება 2030“-ის ძირითადი ხედვაა.

სინაში ბარიძე

საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმა – ზოგადი ნაწილი 2018-2024;
- ც. მეგრელაძე – ეთიკური ნორმების ცოდნის სასწავლო პროცესში ჩართვის გზები და საშუალებები-2000;
- რ. ქავთარაძე – მედიანაწილება, 2014, ინტერნეტ რესურსი;
- ნ. ინგოროყვა – მედიანაწილება, ჟურნალი „მასწავლებელი“;
- ი. აბაშიძე – „აჭარული სამზარეულო“, ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების ფონდში დაცული, 1846 წლის ხელნაწერი.



უხსოვარი აზრები

ფინური გაკვეთილები

ფინეთის საგანმანათლებლო სისტემის წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია მსოფლიოში. როგორ მოხდა, რომ ქვეყანამ ლამის ნულიდან დაიწყო და ორ-სამ ათწლეულში სწავლებისა და სწავლის მქალაქი სისტემა შექმნა?

„სწავლება და სწავლა“ ყველაზე უკეთ აღწერს იმ ელემენტების ერთობლიობას, რომელიც სწორი მუშაობისას საუკეთესო შედეგს იძლევა. ეს ელემენტები უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეები ყოველდღე სწავლიან კარგად მომზადებულ მასწავლებლებს, რომლებიც შეთანხმებულად მუშაობენ შესაბამის მასწავლებელ დაფუძნებულ, მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამაზე.



წარმატების ისტორია

ფინეთი სკოლის გაუმჯობესების მაგალითად იქცა, რადგან სწრაფად მიიღო საერთაშორისო რეიტინგების მწვერვალს მას მერე, რაც საბჭოთა კავშირის ჩრდილს დააღწია თავი. ერთ დროს გაუმართავი, ხისტი ბიუროკრატიული სისტემა განათლების დაბალი ხარისხით გამოირჩეოდა, დღეს კი მას პირველი ადგილი უკავია OECD-ში (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) შემავალ ქვეყნებში და PISA-ს (მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა) რეიტინგებში.

განათლების რეფორმის პოლიტიკის ანალიზისას ფინელი ანალიტიკოსი პასი სალბერგი აღწერს, როგორ შეცვალა ფინეთმა განათლების ტრადიციული სისტემა „თანამედროვე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სისტემაზე“. ფინეთის მოსახლეობის 50% მონაწილეობს მოზრდილთა სწავლების პროგრამებში. განათლების ყველა საფეხურზე სწავლის საფასურის 98%-ს სახელმწიფო ფარავს.

1970-იან წლებში მოსწავლეთა მოსწრება მკვეთრად განსხვავდებოდა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. 2006 წელს ამგვარი სხვაობა მხოლოდ 5% იყო – იმის მიუხედავად, რომ გაიზარდა იმიგრაცია ქვეყნიდან, სადაც განათლების უფრო დაბალი დონეა. ერთ-ერთ ანგარიშში ისიც აღინიშნა, რომ ზოგიერთ სკოლაში ბავშვების ნახევარზე მეტისთვის ფინური მშობლიური ენა არ არის. ამის მიუხედავად, ფინეთში წარმატებით ასწავლიან და ბავშვებს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

რეფორმის სტრატეგია

სხენებული ტენდენციების გამო, მთელ მსოფლიოში, დიდი ინტერესია ფინეთში განათლების რეფორმების მიმართ. ანალიტიკოსი სალბერგი აღნიშნავს: „ფინეთში ჩასულელებს დახვდებით ელვანტური სასკოლო შენობები, რომლებიც მშვენივრად ბავშვებისა და უაღრესად განათლებული მასწავლებლებითაა სავსე. სკოლები ფართო ავტონომიით სარგებლობენ, განათლების ცენტრალური ადმინისტრაცია მინიმალურად ერევა სკოლების ყოველდღიურებაში, პრობლემების მოგვარების მეთოდებში, პროფესიული დახმარების განაწილებაში“.

ფინეთის ლიდერების აზრით, წარმატება განაპირობა დიდმა ინვესტიციებმა პედაგოგების განათლებაში. გარდა ამისა, მთლიანად შეიცვალა სასწავლო პროგრამები და შეფასების სისტემა, აუცილებელი გახდა „მოაზროვნე სასწავლო პროგრამის“ მისაწვდომობა ყველა მოსწავლისა და სტუდენტისთვის. ფინური სისტემის ძირითად პრინციპებად ანალიტიკოსები შემდეგ ფაქტორებს მიიჩნევენ:

- ➔ რესურსები მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება;
- ➔ მაღალი სტანდარტები;
- ➔ კვალიფიციური მასწავლებლები;
- ➔ განხილვისთვის დეცენტრალიზაცია და ცენტრალიზაცია.

ფინეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა სრულიად განსხვავდებოდა ამერიკისაგან. გარე ტესტირებაზე დაფუძნებული მაღალცენტრალიზებული სისტემიდან ფინეთი გადავიდა ლოკალიზებულ სისტემაზე, სადაც მაღალკვალიფიციური მასწავლებლები ამუშავებენ სასწავლო პროგრამებს, ეკონომიკური და ეროვნული სტანდარტების შესაბამისად. ეს სისტემა ხორციელდება სამართლიანი ფინანსირებისა და ყველა მასწავლებლის ძალიან გულმოდგინე მომზადების წყა-

ლობით. დიდი ინვესტიცია ჩაიდო ადგილობრივი მასწავლებლების უნარების განვითარებაში და ამან, გონივრულად შემუშავებულ ხელმძღვანელობასთან ერთად, შეძლო შემოქმედებითი დამოკიდებულების განვითარება საერთო და სამართლიანი შედეგების საკეთილდღეოდ.

სალბერგის თქმით: „ფინელები, 35 წლის განმავლობაში, სისტემატურად მუშაობდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ყველა სკოლაში კომპეტენტური პროფესიონალები არიან, რომლებსაც შეუძლიათ სწავლების საუკეთესო პირობები შექმნან ყველა მოსწავლისთვის. უარი თქვეს ტენდენციაზე, რომლის მიხედვით, სტანდარტიზებული სწავლება და შესაბამისი ტესტირება, ხშირად, ბოლო წუთში ტარდება მოსწავლეების გასაუმჯობესებლად და სკოლების გამოსასწორებლად.“ სალბერგი გამოყოფს ანგლო-საქსური ქვეყნების სკოლებში გატარებულ გლობალურ რეფორმებს, რომლებიც ფინეთმა არ მიიღო. ეს რეფორმები იყო: სასწავლო პროგრამის სტანდარტიზაცია; ხშირად ჩატარებული გარე ტესტები; სასწავლო პროგრამის შეკუმშვა ნივნიერებისა და მათემატიკის საბაზისო უნარებამდე; სწავლების ინოვაციური სტრატეგიების შემცირება; ინოვაციებისა და პრობლემების გადაჭრისთვის საგანმანათლებლო იდეების გარე წყაროებიდან სესხება; ადგილობრივი, შიდა პოტენციალის განვითარების ნაცვლადა; მაღალი ანგარიშვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს ნახალისებასა და სანქციებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლებისთვის. ყოველივე ამას ფინურ რეფორმებს ადარებს და ამბობს: „განათლების სფეროში ფინეთის პოლიტიკა ითბის ათეული წლის სისტემატური, მკაფიოდ გამოზნული განვითარების შედეგია, რომელმაც შექმნა მრავალფეროვნების, ნდობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურა ზოგადად ფინურ საზოგადოებაში და კერძოდ, განათლების სისტემაში. ის ფაქტორები, რასაც საგანმანათლებლო სექტორის განვითარება ეფუძნება, არის საყოველთაო თანასწორობა, რესურსების თანაბარი გადანაწილება, კონკურენციაზე უარის თქმა, ადრეული, ინტენსიური ჩარევა პრობლემების პრევენციისთვის და ნდობის ჩამოყალიბება განათლების სფეროსთან დაკავშირებულ კონტინგენტში, განსაკუთრებით, მასწავლებლებს შორის.“

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლის თანაბარ შესაძლებლობებს. ფინური სკოლები, ძირითადად, პატარაა (300 მოსწავლეზე ნაკლები), შედარებით პატარა კლასებით (20 მოსწავლე) და ერთნაირად გამართული აღჭურვილობით. მოსწავლეების განათლებასა და პირად ცხოვრებაზე ზრუნვა სკოლებში მთავარი პრინციპია. ყველა მოსწავლე, ყოველდღე, იღებს უფასო კვებას, გარდა ამისა უფასო სამედიცინო მომსახურებას, ტრანსპორტს, სასწავლო მასალას და კონსულტაციებს. ფინური საგანმანათლებლო პოლიტიკის ცენტრალური ასპექტია ხარისხიანი სასწავლო პროგრამა და საუკეთესო მასწავლებელი ყველა სკოლაში.

სწავლების გაუმჯობესება

1970-იანი წლებიდან ფინეთმა დაიწყო რეფორმები საგანმანათლებლო შესაძლებლობების გათანაბრებისთვის. ჯერ გააუქმა მოსწავლეთა დაყოფა განსხვავებულ ჯგუფებად, მათი ტესტირების შედეგების მიხედვით, შემდეგ კი უარი თქვა გამოცდებზე. მთელი სისტემისთვის შემუშავდა პროგრამა საშუალო სკოლის დამთავრებამდე. ეს ცვლილება უზრუნველყოფდა შედეგების გათანაბრებას. ამავე დროს, შემოიღეს სოციალური მხარდაჭერა ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, მათ შორის სამედიცინო და სტომატოლოგიური მომსახურება, სპეციალური განათლების ხელშეწყობა და ტრანსპორტი სკოლებში.

1970-იანი წლების ბოლოს დაემატა ინვესტიციები მასწავლებლების განვითარებისთვის. პედაგოგიური განათლება გაუმჯობესდა და გაფართოვდა. გადანყდა, რომ თუკი ფულს ჩადებდნენ ძალიან კვალიფიციურ მასწავლებლებში, შეძლებდნენ, ადგილობრივი სკოლებისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას იმის გადასაწყვეტად, თუ რა და როგორ ასწავლონ – ეს იყო რეაქცია რეპრესიულ, ცენტრალიზებულ სისტემაზე, რომლის შეცვლაც უნდოდათ.

ამ ნაბიჯებმა გაამართლა. 1990-იან წლებში ქვეყანაში გაუქმდა სასწავლო პროგრამების მართვის მკაცრად რეგლამენტირებული სისტემა (რაც ასახული იყო სასწავლო პროგრამების ძველ სახელმძღვანელოებში, დაახლოებით, 700 გვერდზე). მიმდინარე ეროვნული საბაზისო სასწავლო პროგრამა გაცილებით კომპლექტური დოკუმენტია, მაგალითად, 10 გვერდზე ნაკლებია მათემატიკის პროგრამის სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს, ერთობლივად შეიმუშაონ ადგილობრივი სასწავლო პროგრამები და შეფასებ-

ბი. ძირითადად, ყურადღება დაეთმო მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ინოვაციებს, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა შემოქმედებით აზროვნებასა და სწავლის მართვას.

ფინეთში არ არის გარე სტანდარტიზებული ტესტები, რომლებსაც სხვა ქვეყნებში მოსწავლეთა ან სკოლების რანჟირებისთვის იყენებენ. მასწავლებლების მიერ მოსწავლეების შეფასებას და დახასიათებას უფრო თხრობითი ფორმა აქვს, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების წინსვლისა და სასურველი მიმართულების აღწერას. სტუდენტები ფასდებიან ღია გამოცდებზე, მეორე და მეცხრე კლასების ბოლოს და ამ შეფასების მიზანია სასწავლო პროგრამებზე ინფორმირება და სასკოლო ინვესტიციების განსაზღვრა. ამ ინფორმაციას იყენებენ სწავლების გასაუმჯობესებლად და პრობლემების მოსაგვარებლად.

ფინეთში იშვიათად ნახავთ მასწავლებლებს, რომელიც კლასის წინაშე დგას და 50 წუთის განმავლობაში ლექციას უკითხავს ბავშვებს. მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ ყოველკვირეულ მიზნებს, მასწავლებლებთან ერთად და არჩევენ, რა ამოცანებზე იმუშაონ და რამდენი დრო დაუთმონ ამა თუ იმ საკითხს. მოსწავლეები თვითონ არჩევენ, მასწავლებელთან ერთად, რომელ სემინარს დაესწრონ, აგროგებენ ინფორმაციას, კითხვებს უსვამენ მასწავლებლებს და სხვა მოსწავლეებთან ერთად, მუშაობენ პატარა-პატარა ჯგუფებად. შეუძლიათ, დამოუკიდებელ ან ჯგუფურ პროექტებზე მუშაობა, ან სტატისტიკის წერა საკუთარი ჟურნალისთვის. დამოუკიდებლობა და აქტიური სწავლება ბავშვებს გუვითარებს უნარებს, რომელთა დანერგვით განსაზღვრავენ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს; აფასებენ და აუმჯობესებენ საკუთარ მუშაობას; ნაყოფიერად წარმართავენ თავიანთ სასწავლო პროცესს.

პედაგოგიური განათლების გაუმჯობესება

პედაგოგიური განათლებისთვის ინვესტიციების გაზრდა 1970-იან წლებში დაიწყო. სწავლების ვადა 3 წლიდან 4-5 წლამდე გაიზარდა. ყურადღება გამახვილდა უმაღლესი უნარების სწავლებაზე – პრობლემების გადაწყვეტა და კრიტიკული აზროვნება. სწავლების საფუძველი გამოკვლევებზე დაფუძნებული პედაგოგიური განათლება გახდა.

პოტენციურ მასწავლებლებს კოლეჯის კურსდამთავრებულებიდან არჩევენ კონკურსით – იღებენ მხოლოდ შემსვლელთა 15%-ს – ისინი 3-წლიან პროგრამას გადიან სრულიად უფასოდ და საცხოვრებელი მინიმუმით. ფინეთმა დიდი ინვესტიცია ჩაიდო კარგად მომზადებულ პედაგოგთა კადრებში, იქირავა საუკეთესო კანდიდატები და გადაუხადა მათ, სკოლაში რომ ნასულიყვნენ. უნივერსიტეტებთან არსებულ საპილოტე სკოლებში ფართოდ იყენებენ თანამედროვე პრაქტიკაზე დაფუძნებულ სამეცნიერო გამოკვლევებს. ეს სკოლები განკუთვნილია ინოვაციური პრაქტიკის შემუშავებისა და მოდელირებისთვის. მომავალი მასწავლებლები ჯგუფურად მუშაობენ პრობლემების დაგეგმვაზე, შეფასებაზე და ემზადებიან, რომ მომავალში თავად დაგეგმონ სწავლება და ჩაატარონ გამოკვლევები. ისინი სწავლობენ რთული სასწავლო პროგრამების შედგენას, მოსწრების შეფასებას. გათვალისწინებულია მოსწავლეთა „მრავალკულტურულობა“ „გაუცხოებასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია“. მასწავლებლებს არც ერთი ბავშვი არ უნდა რჩებოდეს უყურადღებოდ.

მასწავლებლების უმეტესობას მაგისტრის ხარისხი აქვს როგორც თავის საგანში, ისე პედაგოგიურ მეცნიერებაში და კარგად არის მომზადებული სხვადასხვანაირ, მათ შორის განსაკუთრებული პრობლემების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ. მეცნიერება და პრაქტიკა აქ კარგადაა შერწყმული.

მასწავლებლები სკოლებში, კვირაში ერთხელ, იკრიბებიან თანამშრომლობისთვის. ქალაქის სკოლებს ცვლიან გამოცდილებას, ასევე, გამოყოფილია დრო კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მასწავლებლის უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებამ კარგი შედეგი გამოიღო. პროფესიონალ მასწავლებლებს აქვთ სივრცე ინოვაციებისთვის, რადგან მათ უნდა მოქმედონ ახალი მეთოდები სწავლების გასაუმჯობესებლად. ისინი მკაცრად განერიდ პროგრამებს, კი არ მიჰყვებიან, არამედ თავად წყვეტენ, როგორ გააუმჯობესონ ეს პროგრამები.

თავისუფალი და განსწავლული პედაგოგი ფინური სკოლის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.



კვლევა დასახელებული

მონაცემთა ანალიზი



ŞAHVƏLƏD NƏBIYEV
Riyaziyyat müəllimi,
Dmanisi rayonu Dunus ictimai məktəbinin
direktoru

შახვალათ ნაბიევი
სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის
სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის
მათემატიკის მასწავლებელი,
სკოლის დირექტორი


გარე დაკვირვების გაკვეთილის გეგმა

საგანი: მათემატიკა
სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი/მე-6 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 7 (მათ შორის სსსმ - 0)
გაკვეთილის თემა: მონაცემთა ანალიზი
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე გაინაწილოს კლასიფიცირებული მონაცემების სვეტოვანი დიაგრამით წარმოდგენაში; დიაგრამებით წარმოდგენილი მონაცემების აღწერაში; გაიზარდოს ამ მასალის აქტიულობა; მოსწავლემ მოახერხოს სხვადასხვა საგანი ნასწავლი მასალის საჭიროებისამებრ გამოყენება.
გაკვეთილის ზოლოს მისაღწევი შედეგები:
მათ. VI.12 (1). ახდენს თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემთა კლასიფიკაციას (გარდა დისკრეტულ რაოდენობრივ მონაცემთა ინტერვალულებად დაჯგუფებისა) და დალაგებას.
მათ. VI.12 (2). ქმნის მონაცემთა ცხრილებს, მათ შორის დაჯგუფებული რაოდენობრივი მონაცემების შემთხვევაში.
მათ. VI.12 (3). აგებს წრიულ და სვეტოვან დიაგრამებს (როდესაც მონაცემები იძლევა სკალის ადვილად შერჩევის საშუალებას).

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	A-ფაზა/გამოწვევა აქტივობის დასახელება: საორგანიზაციო საკითხები აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა ჩართულობით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი, კლასში შესვლისთანავე, მიესალმება მოსწავლეებს, შეამოწმებს დასწრებას და მოსწავლის გაკვეთილზე არდასწრების შემთხვევაში, მიმართავს მორიგეს, აუხსნას თუ რატომ არ ესწრება მოსწავლე გაკვეთილს.	კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	ფურნალი, საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, მოსწავლეთა ჩართულობით	1
2	აქტივობის დასახელება: გაკვეთილის მიზნის განსაზღვრა აქტივობის მიზანი: გაკვეთილის თემის, მიზნის, განსახორციელებელი აქტივობების, შეფასების რუბრიკების გაცნობა და ქცევის წესების შესწავლა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი, პროექტორით, მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს; შეასხენებს შეფასების რუბრიკებსა და ქცევის წესებს. ყველაფერი გაკრული აქვს დაფაზე, მთელი გაკვეთილის განმავლობაში.	ვერბალური	საერთო საკლასო	ფლიპჩარტები, შეფასების რუბრიკები, კომპიუტერი, პროექტორი (სლაიდი №1, 2)	2
3	აქტივობის დასახელება: წინარე ცოდნის გააქტიურება აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება აქტივობის აღწერა: საშინაო დავალების შემოწმება: > მე-5 თავი, პ.2: მონაცემთა მხერხებული წარმოდგენა - პიქტოგრამა. > სავ.: 3, 4. ერთი მოსწავლე კითხულობს საშინაო დავალებას, დანარჩენი მოსწავლეები, „დიახ“ და „არა“ ბარათების მეშვეობით, ადასტურებენ ნაკითხული პასუხების შესაბამისობას საკუთარ პასუხთან; თუ რომელიმე მოსწავლეს ექნება განსხვავებული პასუხი, განიხილავენ ამოცანას. დავლების შემოწმების შემდეგ, მოსწავლეები კითხვებზე გასცემენ პასუხს ფრონტალურად: • რომელი წყაროებიდან აგროვებთ ინფორმაციას? • რომელი ხერხებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ მონაცემები?	მინი-ლექცია კითხვა-პასუხი	საერთო საკლასო	ფლიპჩარტები, თაბახის ფურცლები, დაფა, მაგნიტები, მარკერები, პროექტორი (სლაიდი №3) შესრულებული დავალებების წარდგენისთვის	4

	<ul style="list-style-type: none"> რას ეწოდება სიხშირეთა ცხრილი? რას ეწოდება პიქტოგრამა? რას ეწოდება დიაგრამა? და ა.შ. პასუხებს მოსწავლეები გასცემენ ჩხირების დახმარებით, რომელზედაც დაწერილია ყველა ბავშვის სახელი და გვარი, რათა ყველა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა. 				
4	B-ფაზა /სიღრმისეული წვდომა აქტივობის დასახელება: ჯგუფური მუშაობა აქტივობის მიზანი: წინარე ცოდნის გამოყენება აქტივობის აღწერა: ამოცანა №1. გამოკითხვა თემაზე - „სპორტის რომელი სახეობა გიყვართ მეტად“ - 40 მოსწავლეს შორის ჩატარდა. გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ: 20 მოსწავლეს უყვარს ფეხბურთი, 10 მოსწავლეს - ჩოგბურთი, 5 მოსწავლეს - რაგბი და 5 მოსწავლეს - ფრენბურთი. მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს დავალებას. მოსწავლეები, ამ მონაცემების საფუძველზე, ააგებენ წრიულ დიაგრამას. პრეზენტაციური უპასუხებს კითხვებს. ამოცანა №2. მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს ცხრილს, სადაც წარმოდგენილია ერთ-ერთ მაღაზიაში გაყიდული სპორტული ნივთების რაოდენობა და სთხოვს მოსწავლეებს, ამ მონაცემების საფუძველზე, ააგონ სიხშირეთა ცხრილი და სვეტოვანი დიაგრამა. მოსწავლეები იხილავენ და კლასის წინაშე აკეთებენ პრეზენტაციას. პრეზენტაციური უპასუხებს შემდეგ კითხვებს: ✓ მაღაზიაში ყველაზე მეტად რომელი ნივთი გაყიდა? ✓ მაღაზიაში ყველაზე ნაკლებად რომელი ნივთი გაყიდა? ✓ მაღაზიაში სულ რამდენი ნივთი გაყიდა?	„ხამალა ფიქრი“	ჯგუფური მუშაობა	მარკერი, დაფა, ნებოვანი ბარათები, პროექტორი (სლაიდი №4,5)	9
5	აქტივობის დასახელება: „შეგროვებული მონეტა“ აქტივობის მიზანი: ახალი მასალის ახსნა აქტივობის აღწერა: ამოცანა №3. წინა, დალი და რუსუდანი, 2 წლის განმავლობაში, აგროვებდნენ 5, 10 და 20-თეთრიან მონეტებს, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში პიქტოგრამის სახით. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს: • სულ რამდენი მონეტა შეაგროვა წინომ? • სულ რამდენი მონეტა შეაგროვა დალიმ? • სულ რამდენი მონეტა შეაგროვა რუსუდანი? • სულ რამდენი ლარი შეგროვდა 3 წელიწადში? • რომელი მონეტა შეგროვდა უფრო მეტი? რომელი მონეტა უფრო ნაკლები იყო შეგროვებული?	პაუზებით კითხვა და პრეზენტაცია	ინდივიდუალური მუშაობა	დაფა, პროექტორი, რვეული, სახაზავი, საწერ-კალამი, თაბახის ფურცლები, მარკერი (სლაიდი №6)	10
6	აქტივობის დასახელება: ცოდნის ტრანსფერი აქტივობის მიზანი: საგანთაშორისი კავშირი - ცოდნის ტრანსფერი აქტივობის აღწერა: საგანთაშორისი კავშირი-ცოდნის ტრანსფერი. „ჩვენი საქართველო“-მათემატიკა (თემა - ტყის რესურსები). მასწავლებელი მოსწავლეებს დაუსვამს კითხვებს: • როგორ ფიქრობთ, რა საერთო აქვს „ჩვენი საქართველოს“ და მა-	მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	ინდივიდუალური მუშაობა	სახელმძღვანელო, დაფა, თაბახის ფურცელი, პროექტორი (სლაიდი №7)	5

კვლევა დასახარებლად

<p>თემატიკას? • არსებობს ტერმინი, რომელიც გამოიყენება ორივე საგანში? • რომელია? მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშლილ სახელმძღვანელოები მე-9 თავზე და დააკვირდნენ „წყარო 8“-ში წარმოდგენილ მონაცემებს(ტყის ფონდი საქართველოს რეგიონების მიხედვით, ათასი ჰექტარი). ამის შემდეგ, მასწავლებელი, სლაიდის სახით, აჩვენებს კითხვებს და მოსწავლეებს ავალეს: დიაგრამის მიხედვით იმსჯელეთ ტყის ფონდზე, საქართველოს რეგიონების მიხედვით და უპასუხეთ კითხვებს. მასწავლებლის კითხვებს მოსწავლეები პასუხებს გასცემენ ჩხირების დახმარებით, რომელზედაც დაწერილია ყველა ბავშვის სახელი და გვარი, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს მონაწილეობა.</p>				
<p>აქტივობის დასახელება: „მონაცემთა ანალიზი“ აქტივობის მიზანი: ახალი მასალის განმტკიცება აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს, სლაიდის სახით, აჩვენებს დავალებას. დავალება №1 სვეტოვანი დიაგრამა აჩვენებს ინტერნეტის მომხმარებელთა ასაკობრივ ჯგუფებს საქართველოში, სამი წლის განმავლობაში – 1998-დან 2003-მდე. ორდინატა ლერძზე მოცემულია პროცენტები, ხოლო აბსცისაზე – წლები. ასაკობრივი ჯგუფები მოცემულია ლეგენდში და მოსახლეობა 4 ასაკობრივ ჯგუფადაა წარმოდგენილი: 15 წლამდე, 30-მდე, 49-მდე და 50-ს ზემოთ.</p>  <p>მასწავლებელი მოსწავლეებს ავალეს: დიაგრამის მიხედვით, იმსჯელეთ ინტერნეტის მომხმარებელთა ასაკობრივ ჯგუფებზე საქართველოში, სამი წლის განმავლობაში – 1998-დან 2003-მდე. დასვი კითხვები და უპასუხე. მოსწავლეების მიერ დასმულ კითხვებს მასწავლებელი დაფაზე წერს და პასუხებს მოსწავლეები გასცემენ ჩხირების დახმარებით, რომელზედაც დაწერილია ყველა ბავშვის სახელი და გვარი, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს მონაწილეობა.</p>	<p>პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული სწავლება</p>	<p>ინდივიდუალური მუშაობა</p>	<p>სახელმძღვანელო, პროექტები (სლაიდი №8)</p>	<p>9</p>
<p>8 C-ფაზა/შეჯამება-რეფლექსია აქტივობის დასახელება: მოსწავლეთა შეფასება აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა შეფასება აქტივობის აღწერა: მოსწავლეთა შეფასება რუბრიკების მიხედვით</p>	<p>განმავითარებელი, განმსაზღვრელი</p>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>შეფასების რუბრიკა</p>	<p>2</p>
<p>9 აქტივობის დასახელება: გაკვეთილის შეჯამება აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა თვითშეფასება აქტივობის აღწერა: კითხვა პასუხით, მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, რა მოეწონათ მოსწავლეებს და რომელი აქტივობის გამოწერა სურთ შემდეგ გაკვეთილზე. მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეებს კომენტარებით, ასევე, მოსწავლეებიც გააკეთებენ ურთიერთშეფასებას. ისინი ავსებენ გასასვლელ ბარათებს, რომელიც მონიტორზეც ჩანს და ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე.</p>	<p>შემაჯამებელი</p>	<p>მთელი კლასი</p>	<p>გასვლითი ბარათები, პროექტორი (სლაიდი №9)</p>	<p>2</p>
<p>10 აქტივობის დასახელება: საშინაო დავალება აქტივობის მიზანი: მიღებული ცოდნის განმტკიცება აქტივობის აღწერა: მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას. მოსწავლეები ინიშნავენ სახელმძღვანელოებში/რეკლამებში: • საგ: 5, 6. • ქართული ენის სახელმძღვანელოდან ერთ-ერთ აბზაცში გამოყენებული ხმოვანი ასოების რაოდენობის მიხედვით შეადგინეთ სვეტოვანი დიაგრამა.</p>	<p>დამოუკიდებელი მუშაობა</p>	<p>ინდივიდუალური</p>	<p>სახელმძღვანელო, რვეული, საწერი კალამი</p>	<p>1</p>

შეფასება:

- ფასდება შემდეგი უნარები: 1. პრეზენტაციის უნარ-ჩვევები;
2. კვლევის უნარ-ჩვევები;
3. პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები;
4. შემოქმედებითობის უნარ-ჩვევები.

საკლასო შეფასება (ანალიტიკური რუბრიკა)

შედეგები	1-2 ქულა	3-4 ქულა	5-6 ქულა	7-8 ქულა	9-10 ქულა
მათემატიკური ცნების, ტერმინების ცოდნა	დახმარების გარეშე ვერ აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს, ვერ მოჰყავს მაგალითები.	არასრულყოფილად აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს, უჭირს მაგალითების დაფუძნება.	ძირითადად, აყალიბებს მათემატიკურ ცნებებს, მოჰყავს ფორმულები და მაგალითები.	იცის ცნებები, მოჰყავს მაგალითები.	ყოველთვის იცის ცნებები, განმარტებული. მოჰყავს მაგალითები.
კავშირი მათემატიკურ გამოსახულებასა და ამოცანებს შორის	დახმარების გარეშე ვერ ამყარებს კავშირს მათემატიკურ გამოსახულებასა და ამოცანებს შორის.	არასრულყოფილად ამყარებს კავშირს სხვადასხვა ამოცანებს შორის.	ძირითადად, ამყარებს კავშირს სხვადასხვა ამოცანებს შორის, იშვიათად უშვებს შეცდომებს.	ამყარებს კავშირს სხვადასხვა ამოცანებს შორის, იშვიათად უშვებს შეცდომებს.	ყოველთვის ამყარებს კავშირს სხვადასხვა ამოცანებს შორის, შედეგი მიღებულია.
დავალების სისტემატურად შესრულება	არ ასრულებს დავალებას.	პერიოდულად ასრულებს დავალებას, ისიც არასწორად.	დავალებას ასრულებს სწორად ხშირად.	დავალებას ასრულებს მცირე ხარვეზებით.	სისტემატურად ასრულებს დავალებას.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი	კი	ნაწილობრივ	არა
პასუხობს თემას			
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმოკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას).			
საუბრობს გამართული ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას.			
იცავს დროის ლიმიტს.			

თვითშეფასების კითხვარი

№	სახელი და გვარი:	შეფასება
1	გავიგე ახალი მასალა.	
2	შეძელი ამოცანის დამოუკიდებლად ამოხსნა.	
3	გაკვეთილი ჩემთვის საინტერესო იყო.	

- ☺ – ძალიან კარგი
+ – კარგი
✓ – საშუალო



ჯო ბაიდენმა ამერიკის სანაპირო დაცვის აკადემიის კურსდამთავრებულს დიპლომა დააწვინა

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის აკადემიის (United States Coast Guard Academy – USCGA) კურსდამთავრებულს, გამოსაშვებ ლონისიძეზე, სწავლის წარმატებით დასრულება მიულოცა. მათ შორის იყვნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, სასწავლებლად გაგზავნილი ნიკოლოზ ტვილიანი და სანდრო სტაჟაძე. მათ პრეზიდენტმა ბაიდენმა დიპლომები პირადად გადასცა. USCGA-ს კურსდამთავრებულები – ნიკოლოზ ტვილიანი და სანდრო სტაჟაძე აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით გაგზავნილი პირველი კადეტები არიან, რომლებიც, საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სანაპირო დაცვის რიგებში იმსახურებენ.





26 მაისი



აბ აბის ცყვია, როძლიც ძე მოძილავს. რადეან რეძი ვესეჭი იმ ქვე-
ყანაძია, როძლსაც ჰელაფდნენ და აბ ყვლქთილა.

ვერეალი ვიოივი ყვინცაძე

ისტორიაში ამქეტი სღეა აბა თაფისთაფად, აბამედ იმ აღაძიანთა ვაძიოსთით, ვინც ხალხის ჰელს ვა-
ნავეჭს. ისტორიკოსებისთვის ყუჯელად სესყრელი და
საინტერესო იქნება ცოდნა როვეორც ხალხის ძმა-
თველ ჰინთა დახასიათებისა, ისე ძათი ძეთოდებისა
- რა ყრთიერითოქეტი ჰქონდათ, როვეორ ძაბითაფდნენ.

დაჭეითქით ვაძმთხ: - საქძიძლოს ველსრე-
ლად მოყვარული და, რასაყვირელია, რვენი ძმა-
თველქისეან ვანსვაფეჭული ინტელექტის ძქონე
ხალხის ხელძი სქაბითველოს ჰელი სელ სხვავეა-
რად წანიძაბითქთილა.

რეძი მოვერეჭეტი 1914-2021

26 მაისს, გიორგი კვინიტაძე, მუდღესთან, მარია მაცაფვილთან ერთად, მთაწმინდაზე, ქაქუსა როლოყაფვილის გვერდით დაიქრძალა.

სამოღელო ვაქევილი

7 ლარი

12 ლარი

10 ლარი

9 ლარი

გამომცემლობა „ახალი განათლება“
მთავარედი

ხაღმორეის თანსა გაღმორეცხათ რაკვიზიტაზა:
მიმღავი - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერტი განვი“, ვ/კ LBRTGE22
შექენის მსურველავი დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

სიხლე
მარტივად

მასწავლებლის
გამომცემლისთვის
ფასი - 27 ლარი

ტექსტის გააზრება

15 ლარი

ნიგნი თაფორილი
I-IV კლასების მასწავლებელთა
კომინიკაბული
საგამომლო მასლა,
ქითსვა-პასუხის და
ტესტების სხით
ფასი - 17 ლარი

სწავლების
ინტერაქტიური
მეთოდები
10 ლარი

ქართული (I-VI)
მასწავლებელთა
გამომცემლისთვის
11 ლარი

პროფესიული
უნარები
თეორიული მასლა
15 ლარი

პროფესიული
უნარები
ტესტები
15 ლარი

წიგნის თარი

**ტესტები ქართულ
ლიტერატურაში**
ეროვნული
გამომცემლისთვის

ნიგნი I
V-XVII სს მფერლოზა

ნიგნი II
XIX საუკუნის მფერლოზა

ნიგნი III
XX საუკუნის მფერლოზა

თითო ტომის ფასი - 13 ლარი